F 471
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1980

დეკემბერი **№ 12** ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

# ბრძანებათა და ინსტრუქციათა კრებული

თბილისი
1980

დეკემბერი № 12 ДЕКАБРЬ

МИНИСТЕРСТВО ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

# СБОРНИК ПРИКАЗОВ И ИНСТРУКЦИЙ

ТБИЛИСИ
1980

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქტორი ე. ქურციკიძე
ტექრედაქტორი ა. ბაკურაძე
კორექტორი ლ. დოლიძე

გადაეცა ასაწყობად 17/ II-81 წ.; ხელმოწერილია დასაბეჭდად 19/IV-81 წ.;
ანაწყობის ზომა 6×9; ქაღალდის ზომა 60×84; ნაბეჭდი თაბახი 4,8;
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 4;

შეკვეთა № 144 უე 17481 ტირაჟი 5 000

უფასო

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სტამბა, ნუცუბიძის ქ. № 7.
Типография Министерства просвещения ГССР, Нуцубидзе 7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ, მოისმინა და განიხილა რა შემოწმების მასალები,

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. ცნობა—„მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ" დაეგზავნოს აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებს, სამხრეთ ოსეთის ა/ო, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველოს, ქალაქებისა და რაიონების სახალხო განათლების განყოფილებებს.

2. დაევალოს თერჯოლის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებისა და სკოლისგარეშე დაწესებულებათა ხელმძღვანელებს, პედაგოგიურ კოლექტივებს:

2. 1. რადიკალურად გარდაქმნან მოსწავლეებთან იდეურ-პოლიტიკური მუშაობა. თავიანთ საქმიანობას საფუძვლად დაუდონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური და პოლიტ-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების შესახებ", პარტიისა და მთავრობის სახელმძღვანელო დოკუმენტები.

2. 2. სკოლებში მოზარდებთან მუშაობა წარმართონ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებზე დაყრდნობით, აამაღლონ მოსწავლეთა საზოგადოებრივი აქტივობა. არ დაუშვან მოსწავლეთა

კ. მარქსის სახ. საქ. სსრ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვითმმართველობის ორგანოების მუშაობაში ფორმალიზმის გამოვლინების შემთხვევები. განამტკიცონ მათ საქმიანობაში დემოკრატიული ცენტრალიზმის პრინციპები.

2. 3. უფრო აქტიურად ჩააბან უფროსკლასელები საკავშირო ლენინურ ჩათვლებში. სისტემატურად და მაღალ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე ჩაატარონ ატესტაცია. სკოლებში შექმნან წრეები, კლუბები, გაერთიანებები, მათში მოსწავლეთა ჩაბმისას გაითვალისწინონ მათი სურვილები და მიდრეკილებები. მკაცრად დაიცვან მოზარდთა ასაკობრივი თავისებურებები.

2. 4. სისტემატურად აწარმოონ მოწინავე პედაგოგების დადებითი გამოცდილების შესწავლა და განზოგადება. გააძლიერონ კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანების მუშაობაზე ხელმძღვანელობა და კონტროლი. სრულყონ მათი მუშაობის დაგეგმვა, შემოქმედებითად მიუდგნენ მეთოდგაერთიანებების სხდომებზე დასამუშავებელი თემატიკის შერჩევას და მის დამუშავებას.

2. 5. გაატარონ საჭირო ღონისძიებები იმის მისაღწევად, რომ მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ყველა კომპონენტი ერთიანდებოდეს ერთ კომპლექსში, რომ ისინი გამომდინარეობდნენ ერთმანეთიდან და ავსებდნენ ერთმანეთს. მოზარდი თაობის კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის სამოქმედო პროგრამად გაიხადონ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებები, ზემდგომი ორგანოების მითითებები და ინსტრუქციები.

3. რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლმა, სასწავლო-საწარმოო კომბინატებმა გააუმჯობესონ საინსტრუქციო-მეთოდური, წრეობრივი, მასობრივი და პროფორიენტაციული მუშაობა.

4. რაიონის განათლების განყოფილებამ და მისმა მეთოდკაბინეტმა გააძლიერონ ხელმძღვანელობა და კონტროლი სკოლებისადმი. გააუმჯობესონ მეთოდური და პრაქტიკული დახმარება მათდამი. სისტემატურად აწარმოონ დადებითი გამოცდილების შესწავლა-განზოგადება. აამაღლონ სკოლების ხელმძღვანელობის, თითოეული პედაგოგის პირადი პასუხისმგებლობა მინდობილი საქმისადმი.

5. მიღებულ იქნას ცნობად, რომ შემოწმების მასალების საფუძველზე თერჯოლის სახალხო განათლების საბჭომ გაატარა ორგანიზაციული ღონისძიებები:

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— მუშაობაში არსებული ნაკლოვანებებისათვის, რაც გამოიხატა პიონერული ორგანიზაციის მუშაობის ჩაშლაში, ტყიბულჰესის 8-წლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. ობოლაძე გათავისუფლებულია სამუშაოდან;

— სასტიკი საყვედურები გამოეცხადოთ: სოფელ ჩხარისა და სოფელ ბარდუბნის საშუალო სკოლების დირექტორებს გ. ყურულოვს, მ. აბჟანდაძეს, სოფელ გარდუბნის საშუალო სკოლის ორგანიზატორს შ. ბარდაველიძეს.

— გამოეცხადოთ საყვედურები: სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის ორგანიზატორს მ. აბულაძეს, სოფელ ღვანკითის საშუალო სკოლის დირექტორს გ. რობაქიძეს, ამავე სკოლის მე-10 კლასის ხელმძღვანელს ო. ვეფხვაძეს, სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის მე-9 კლასის ხელმძღვანელს ი. აბჟანდაძეს. რიგი სკოლების ხელმძღვანელებსა და კლასის ხელმძღვანელებს მიეცათ მკაცრი მითითებები.

6. თერჯოლის რაიონის განათლების განყოფილებამ (ამხ. ა. ჯაფარიძე) ამ გადაწყვეტილების შესასრულებლად გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმაცია საქართველოს სსრ განათლების სამინისტროში წარმოადგინოს ა/წლის 10 ოქტომბრისათვის.

7. კონტროლი ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა).

კოლეგიის თავმჯდომარე
მინისტრის პირველი მოადგილე — ზ. ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ცნობა

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შ ე ს ა ხ ე ბ

მიმდინარე წლის აპრილში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველომ შეისწავლა საკითხი — მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ.

ანიჭებენ რა აღნიშნულ საკითხს დიდ მნიშვნელობას, თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილება, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები და სკოლისგარეშე დაწესებულებები თავიანთ საქმიანობას წარმართავენ სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებების, პარტიისა და მთავრობის დადგენილებებისა და სახელმძღვანელო დოკუმენტების მოთხოვნათა შესაბამისად.

ბრიგადის წევრები შემოწმების პროცესში გაეცვნენ რაიონის 10 საშუალო და 3 რვაწლიანი სკოლის, პიონერთა და მოსწავლეთა რაიონული სახლის, სასწავლო-საწარმოო კომბინატების, სახალხო განათლების განყოფილების მუშაობას.

როგორც შემოწმებამ ცხადყო, თერჯოლის რაიონის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გარკვეული მუშაობა მიმდინარეობს მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდის სრულყოფისათვის. სათანადო ყურადღება ეთმობა სკოლების სასწავლო-მატერიალური ბაზის განმტკიცების, ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით მათი შევსების საკითხს, საყოველთაო-სავალდებულო განათლების კანონის განუხრელად განხორციელების, მოზარდი თაობის იდეურ-პოლიტიკური, ზნეობრივი, ესთეტიკური, სამხედრო-პატრიოტული, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, შრომითი აღზრდისა და პროფორიენტაციის საქმეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმებული სკოლების უმრავლესობის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა დამაკმაყოფილებელია და შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს. მათი დიდი ნაწილი გადასულია სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. სასწავლო კაბინეტ-ლაბორატორიები აღჭურვილია საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო დიდაქტიკური მასალებით, დაკომპლექტებულია კვალიფიციური პედაგოგიური კადრებით (სოფლების: ალისუბნის, რეფოთის, ღვანკითის, ქვედა სიმონეთის მე-2, ზედა საზანოს, თერჯოლის 1-ლი, მე-2 საშუალო, ტყიბულჰესის 8-წლიანი სკოლები).

რაიონის სკოლებში დიდი ყურადღება ეთმობა საყოველთაო სავალდებულო სწავლების კანონის განხორციელების საქმეს. დროულად ხდება სკოლების სამოქმედო მიკრორაიონებსა და მიკროუბნებში მცხოვრები სასკოლო ასაკის მოზარდების აღწერა და მათი სწავლებაში ჩაბმა; აგრეთვე 16—29 წლის იმ პირთა გამოვლინება და სწავლებაში ჩაბმა, ვისაც არ გააჩნია საშუალო განათლება. რაიონში არ არის არც ერთი სკოლიდან განთესილი ან სწავლას ჩამოშორებული მოსწავლე.

ნაყოფიერად მუშაობენ სკოლების პედაგოგიური კოლექტივები მოსწავლეთა სამართლებრივი აღზრდისათვის. გაწეული მუშაობის შედეგია, ის, რომ უკანასკნელი 2 წლის განმავლობაში ამ რაიონის მოსწავლეებს სისხლის სამართლის დანაშაული არ ჩაუდენიათ.

უდიდესი ზეიმით აღინიშნა რაიონის სკოლებში პროლეტარიატის დიდი ბელადის, კომუნისტური პარტიისა და მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს დამაარსებლის ვ .ი. ლენინის დაბადების 110 წლისთავი. უკლებლივ ყველა სკოლაში შემუშავდა და თანმიმდევრობით განხორციელდა ამ დიდი თარიღისადმი მიძღვნილი სპეციალურ ღონისძიებათა გეგმა. მოეწყო შეხვედრები კომუნისტური პარტიის ვეტერანებთან, ლენინის ორდენის კავალერებთან; ლენინური კითხვები, დაუსწრებელი ექსკურსიები ლენინურ ადგილებში. რესპუბლიკური ექსპედიციები „ლენინის ოცნების გზით“ საზეიმო ხაზები, შეკრებები, ლიტერატურული კითხვები, დისპუტები. კონფერენციები თემაზე „ლენინის საქმე ცოცხლობს და იმარჯვებს“ და სხვა. საიუბილეო დღეებში რაიონის რიგ სკოლებში მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეწყო ლენინის ოთახები (ალსიუბნის, ზედა საზანოს საშუალო), კუთხეები (ღვანკითის, ქვედა სიმონეთის მე-2, თერჯოლის 1-ლი და მე-2 საშუალო), გაფორმდა სტენდები, ალბომები, ჩატარდა კედლის გაზეთების კონკურსები.

ასევე მაღალი პოლიტიკური აქტივობის ნიშნით მიმდინარეობს რაიონის სკოლებში მზადება ფაშისტურ გერმანიაზე საბჭოთა ხალხის გამარჯვების 35-ე წლისთავის შესახვედრად. ეწყობა შეხვედრები დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, „მცირე მიწელებთან“, დაუსწრებელი მოგზაურობები გმირ ქალაქებში. მოსწავლეები სწავლობენ ლ. ი. ბრეჟნევის ნაშრომებს „მცირე მიწა“, „აღორძინება“. ბევრ სკოლაში გააშენეს და უვლიან გმირთა დიდების ხეივნებს, ობელისკებს, მოწყობილია დიდი სამამულო ომის მონაწილე თანასოფლელების სტენდები. მოსწავლეები ეხმარებიან სამამულო ომის მონაწილეთა და ომში დაღუპულთა ოჯახებს სამეურნეო საქმიანობაში.

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდისათვის სკოლებში იყენებენ მუშაობის სხვადასხვა ფორმებსა და მეთოდებს. რაიონის სკოლებში სისტემატურად ტარდება პოლიტინფორმაციები ჩვენი ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებზე. მოზარდები ეცნობიან და სწავლობენ ვ. ი. ლენინის ბიოგრაფიას, მის ნაშრომებს, ლ. ი. ბრეჟნევის ტრილოგიას, მის სიტყვებსა და გამოსვლებს, პარტიისა და მთავრობის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტებს, მარქსიზმის კლასიკოსთა ნაწარმოებებს, უფროსკლასელთა დიდი ნაწილი ჩაბმულია საკავშირო ლენინურ ჩათვლებში.

დიდი ყურადღება ეთმობა სკოლებში მოსწავლეთა ესთეტიკური აღზრდის საქმეს. სკოლების უმრავლესობაში ჩამოყალიბებულია სიმღერისა და ცეკვის გუნდები, მხატვრული თვითშემოქმედების წრეები. ხშირად ეწყობა მხატვრული დღეები, ლიტერატურული ვიქტორინები, პოეზიის საღამოები, ლიტერატურული გმირების გასამართლებები, კინო-ფილმებისა და თეატრალური წარმოდგენების კოლექტიური დასწრებები, ნანახის განხილვა. მოსწავლეები მონაწილეობენ საბავშვო მუსიკის, თეატრის, წიგნის რესპუბლიკურ კვირეულებში, მხატვრული თვითშემოქმედების ოლიმპიადებში, კონკურსებში და სხვა (ზედა საზანოს, ქვედა სიმონეთის, ალისუბნის, თერჯოლის 1-ლი, მე-2 და სხვა საშუალო სკოლები).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გარკვეული წარმატებებია მოპოვებული მოსწავლეთა შრომითი აღზრდისა და პროფესიული ორიენტაციის სფეროში. ამ კუთხით რაიონის პედაგოგიური კოლექტივები დიდ და ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან. გაწეული მუშაობის შედეგია ის, რომ რაიონის სკოლების კურსდამთავრებულთა უდიდესი ნაწილი ჩაბმულია საზოგადოებრივ სასარგებლო შრომაში, ან სწავლას აგრძელებს. (1978—1979 სასწავლო წლის კურსდამთავრებულთა დასაქმება ასეთ სურათს იძლევა: სულ საშუალო სკოლა დაამთავრა 839 მოზარდმა, აქედან სწავლობს უმაღლეს სასწავლებელში — 22, ტექნიკუმში — 203; პროფტექნიკურ სასწავლებელში, — 132, უმაღლესი სასწავლებლის მოსამზადებელ კურსებზე — 155. მუშაობს: წარმოება-დაწესებულებებში — 177, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 173).

რაიონში დღეისათვის ფუნქციონირებს ორი სასკოლათაშორისო სასწავლო-საწარმოო კომბინატი, მათში ჩაბმულია რაიონის სკოლების 1073 უფროსკლასელი მოსწავლე. კომბინატებში მოსწავლეები ეუფლებიან სხვადასხვა სპეციალობებს: ავტოსაქმეს (270 მოსწავლე), ტრაქტორს (171), სადურგლო საქმეს (49), ქსოვილების დამუშავებას (164), მევენახეობას (135), მეცხოველეობის ფერმების მექანიზაციას (47), მებოსტნეობას (110), ქვის მხატვრულ დამუშავებას (27) და სხვა.

დიდ დახმარებას უწევენ მოსწავლეები სოფლის მეურნეობის მშრომელებს. გასულ წელს მათ შეაგროვეს 1057 ტონა თივა, 13.548 კგ. ასკილი, 714. 757 კგ. ყურძენი, 14.375 კგ. ბროწეული და სხვა.

ზაფხულის არდადეგების პერიოდში რაიონის 10 სკოლაში მოწყობილია შრომისა და დასვენების ბანაკი, სადაც შრომობს და ას-

სკოლებში მოწყობილია პროფორიენტაციის კუთხეები. ყველავენებს სხვადასხვა სკოლის 1500 მოსწავლე.

სკოლას აქვს შესანიშნავად მოვლილი მიწის ნაკვეთები, რომლებზეც გაშენებულია ვაზი, ხილი, სანერგე, საცდელი ნაკვეთები (ზედა საზანოს, ალისუბნის, სიქთაივის, ქვედა სიმონეთის მე-2, რუფოთის საშუალო, გოდოგნის 8-წლიანი).

გარკვეულ მუშაობას ეწევიან პედაგოგიური კოლექტივები მოსწავლეთა სამხედრო-პატრიოტული აღზრდის მიზნით. სკოლებში მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წყობილია სამხედრო-პატრიოტული შინაარსის სტენდები, კარგ ტრადიციადაა დამკვიდრებული რაიონის რიგ სკოლებში კურსდამთავრებულთა საზეიმო გაცილება საბჭოთა არმიის რიგებში, არმიიდან დემობილიზებულთა საზეიმო შეხვედრები. სისტემატურად ტარდება სიმამაცის გაკვეთილები, საბჭოთა არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი საინტერესო ღონისძიებები, სამხედრო-სპორტული თამაშობები „ცისკარი“ და „მართვე“.

შემოწმების პერიოდში პიონერული ქალაქის „საპოვნელას“ სპორტულ ბაზაზე ჩატარდა აღნიშნული თამაშების რაიონული პირველობის ფინალი, რომელშიც თითქმის ყველა სკოლის გუნდმა მიიღო მონაწილეობა, რაიონის მოსწავლეები სისტემატურად მონაწილეობენ „ცისკრისა“ და „მართვეს“ რესპუბლიკურ შეჯიბრებებში და მაღალ მაჩვენებლებსაც აღწევენ.

სკოლების პედაგოგიური კოლექტივები სათანადო ყურადღებას უთმობენ მოსწავლეებთან სპორტულ-გამაჯანსაღებელ მუშაობას. შემოწმებული სკოლების უმრავლესობას მოწყობილი აქვს მარტივი ტიპის სპორტული მოედნები. სკოლებში ჩამოყალიბებულია სპორტული წრეები და სექციები. სისტემატურად ტარდება შიდასასკოლო თუ სარაიონო სპარტაკიადები და შეჯიბრებები სპორტის სხვადასხვა სახეობებში, „იმედის სტარტები“, ტურისტული მრავალჭიდის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრებები. მარტო 1979 წელს რაიონში მომზადდა 2406 მშთ-ს ნიშნოსანი, 1866 თანრიგოსანი, 429 მოსწავლე-ინსტრუქტორი და 516 მსაჯი.

სკოლებში ორგანიზებულად ტარდება დილის გამამხნევებელი ვარჯიშები, შინაარსიანად იგეგმება დიდი დასვენებები, ფართოდაა გაშლილი მოძრაობა — „ოლიმპიადა არა მარტო ოლიმპიელებისათვის“.

გარკვეულ მუშაობას ეწევიან სკოლებში მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოები. მოსწავლეთა საგრძნობ ნაწილს მოცემული აქვს საზოგადოებრივი დავალება, დაწესებულია კონტროლი მათ შესრულებაზე, რიგ სკოლებში კარგად მუშაობენ კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციები, მოსწავლეთა კომიტეტები (რეკოთის, საქთარვის, ზედა საზანოს, ალისუბნის, თერჯოლის 1-ლი და მე-2 საშუალო სკოლები და სხვა). მათი ინიციატივით სკოლებში ტარდება მრავალი საინტერესო ღონისძიება, მიმდინარეობს გარკვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ული მუშაობა მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების დონისა და იდეურ-პოლიტიკური ცოდნის დონის ამაღლებისათვის.

სკოლებში ჩამოყალიბებულია უფროსკლასელთა პოლიტიკური განათლების წრეები, მოსწავლეთა ლექტორიუმები, მიმდინარეობს აქტივის სწავლება და სხვა.

ნაყოფიერად მუშაობენ რიგი სასკოლო ბიბლიოთეკები. მათი ინიციატივით სკოლებში ტარდება მკითხველთა კონფერენციები, პოემის საღამოები, ლიტერატურული დილები, კონკურსები, ვიქტორინები და სხვა (ზემო საზანო, რუფოთის, ქვედა სიმონეთის, ღვანკითის, ალისუბნის, თერჯოლის 1-ლი).

შემოწმებულ სკოლებში სათანადო ყურადღება ეთმობა მშობელთა პედაგოგიზაციის საკითხებს. ზოგ სკოლაში შექმნილია მშობელთა უნივერსიტეტები. ხშირად ტარდება ლექცია-საუბრები, კონფერენციები, ამ საქმეში სკოლებს აქტიურ დახმარებას უწევს საზოგადოება „ცოდნის“ რაიონული განყოფილება (თერჯოლის 1-ლი, მე-2, ზედა საზანოს, ქვედა სიმონეთის).

სკოლებში სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის გაუმჯობესების მიზნით გარკვეულ მუშაობას ეწევა რაიონის განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი. შექმნილია კლასის ხელმძღვანელთა, კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა სარაიონო მეთოდგაერთიანებები. სისტემატურად ტარდება ამ მეთოდგაერთიანებების სხდომები, რომლებზეც განიხილება აქტუალური საკითხები. დამუშავებული თემების ნაწილი დამაკმაყოფილებელია.

ამასთან ერთად, თერჯოლის რაიონის სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების, სახალხო განათლების განყოფილებისა და მისი მეთოდური კაბინეტის მუშაობაში შეინიშნება მთელი რიგი სერიოზული ნაკლოვანებანი. ზოგიერთი სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა არ შეესაბამება სადღეისო სკოლის მოთხოვნებს. კაბინეტ-ლაბორატორიები ცუდადაა აღჭურვილი საჭირო ტექნიკური საშუალებებითა და თვალსაჩინო-დიდაქტიკური მასალებით. არადამაკმაყოფილებელია სკოლების ესთეტიკური მდგომარეობა. ბევრგან გამოფენილი სტენდები მოძველებულია შინაარსობრივად და ესთეტიკური თვალსაზრისით ვერ პასუხობს სადღეისო მოთხოვნებს (ზედა სიმო-

ნეთის მე-2, რუფოთის, თერჯოლის 1-ლი, ძევერის 8-წლიანი სკოლები). ზოგიერთი სკოლა ჯერ კიდევ არ არის გადასული სწავლების კაბინეტურ სისტემაზე. პედაგოგთა დიდი ნაწილი ნაკლებად ზრუნავს თვითნაკეთი ხელსაწყოებით კაბინეტ-ლაბორატორიების შევსებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსწავლეთა საგრძნობი ნაწილი სკოლაში ცხადდება მოსწავლის ფორმის, პიონერული ყელსახვევის, კომკავშირული სამკერდე ნიშნის გარეშე. არადამაკმაყოფილებელია მათი ვარცხნილობა.

რაიონის რიგ სკოლებში ჯერ კიდევ არ გაუხდიათ სამოქმედო პროგრამად სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილება „იდეოლოგიური და პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის შემდგომი გაუმჯობესების შესახებ“. ძალზე ცოტა რამ კეთდება ამ დადგენილების ხორცშესხმის მიზნით.

სკოლების უმრავლესობაში თვალსაჩინო ადგილზე არ არის გამოკრული სსრ კავშირის გერბი და ჰიმნის ტექსტი. დიადი თარიღებისადმი მიძღვნილი სასკოლო ღონისძიებების ჩატარების დროს არ სრულდება სსრ კავშირისა და საქართველოს ჰიმნები, არ აღმართავენ სახელმწიფო ალმებს.

სკოლების პედაგოგიური საბჭოების სამუშაო გეგმებში საჭირო ყურადღება არ ეთმობა მოსწავლე ახალგაზრდობის იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საკითხებს. პედსაბჭოს სხდომებზე ეს საკითხი დამოუკიდებლად, როგორც წესი, არც ერთ სკოლაში არ განიხილება.

სასკოლო სამუშაო გეგმებში, არასათანადო ყურადღება ეთმობა აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს, ხოლო რაც შეეხება კლასგარეშე და სკოლისგარეშე მუშაობის ორგანიზატორთა გეგმებს, ისინი, უმეტეს შემთხვევაში, სტერეოტიპულია, მოკლებულია აქტუალობას, კონკრეტულობას და შემოქმედებითობას. აღმზრდელობითი მუშაობის დაგეგმვის დროს სკოლების ხელმძღვანელობა და პედაგოგიური კოლექტივები არ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებებს, მათ მისწრაფებებსა და ინტერესებს. მუშაობის ძირითად ფორმად გამოყენებულია საუბრის მეთოდი. თითქმის მთლიანად უგულებელყოფილია პრაქტიკული ღონისძიებები.

ბევრ შემთხვევაში კლასის ხელმძღვანელთა აღმზრდელობითი მუშაობის გეგმები ერთმანეთისაგანაა გადაწერილი. საყურადღებოა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ფაქტები, რომ არავითარი თანაფარდობა არ არსებობს საერთო-სასკოლო, ორგანიზატორის, კლასის ხელმძღვანელთა, კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების სამუშაო გეგმებს შორის (ღვანკითის, ბადრუბნის, ძევრის, ალისუბნის საშუალო, ტყიბულჰესის 8-წლიანი სკოლები).

კლასის ხელმძღვანელთა დიდი ნაწილი ცუდად ერკვევა მოსწავლეთა საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობაში, ამიტომ მათი უმრავლესობა თითქმის არავითარ დახმარებას არ უწევს ამ ორგანიზაციებს.

არის შემთხვევები, როდესაც სკოლის დირექცია მხოლოდ სამეურნეო-ადმინისტრაციული საკითხებითაა დაკავებული, ხოლო მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის საქმე მისი ყურადღების მიღმა რჩება (გოდოგნის 8-წლიანი სკოლა).

ცუდად მუშაობენ შემოწმებულ სკოლებში კლასის ხელმძღვანელთა მეთოდგაერთიანებები. მათ სხდომებზე არ ხდება საკუთარი გამოცდილების გაზიარება, დადებითის განზოგადება. დასამუშავებელი მოხსენების თემატიკა შედგენილია ზერელედ, ნაჩქარევად. დამუშავებული თემების უმრავლესობაში არაფერი ჩანს მათი ავტორების პრაქტიკული საქმიანობის შესახებ ამ საკითხის ირგვლივ. თითქმის ყველა დამუშავებული თემა სხვადასხვა წყაროდანაა საგულდაგულოდ გადმოწერილი.

მეთოდგაერთიანებების მუშაობას სათანადო დახმარებასა და კონტროლს არ უწევენ სკოლის დირექციის წევრები. მათი მუშაობა თვითდინებაზეა მიშვებული.

შემოწმებული სკოლების ორგანიზატორებისა და უფროსი პიონერხელმძღვანელების ნაწილი თითქმის არავითარ მეთოდურ დახმარებას არ უწევს კლასის ხელმძღვანელებს. ზოგ სკოლაში მოსწავლეთა პოლიტიკური ორგანიზაციების მუშაობა არ შეესაბამება სადღეისო მოთხოვნებს.

ტყიბულჰესის 8-წლიანი სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი მ. ობოლაძე ვერ ერკვევა თავის ფუნქციებსა და მოვალეობებში, ავლენს დაკისრებული საქმის უცოდინარობას, რამაც აღნიშნულ სკოლაში პიონერული მუშაობა ჩაშლის პირამდე მიიყვანა. ამხ. მ. ობოლაძის საკითხი არაერთხელ იქნა განხილული პედსაბჭოს

სხდომაზე, პარტიული ორგანიზაციის კრებაზე, მაგრამ მან სათანადო დასკვნები არ გააკეთა მიცემული შენიშვნებიდან. რაიონის სახალხო განათლების განყოფილებას რჩევა მიეცა ალკკ რაიკომთან ერთად იმსჯელოს ამხ. მ. ობოლაძის აღნიშნულ თანამდებობაზე შემდგომი მუშაობის შესახებ.

შემოწმებული სკოლების უმრავლესობაში პიონერული მუშაობა არ მიმდინარეობს საკავშირო პიონერული მარშის მიხედვით. პიონერები ცუდად იცნობენ მარშის მარშრუტებს და მათში გათვალისწინებულ მოთხოვნებს, რაზმეულებისა და რაზმის შეკრებები ტარდება არასწორად შედგენილი თემატიკის მიხედვით.

რიგ სკოლებში ადმინისტრაცია და პედაგოგიური კოლექტივები თითქმის არავითარ ყურადღებას არ უთმობენ მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობას. მოსწავლეთა კოლექტივების საქმიანობა სკოლებში არ ხორციელდება თვითმმართველობის საფუძველზე. ბევრგან თვითმმართველობის ორგანოები ფორმალურადაა შექმნილი.

რაიონის სკოლების უმრავლესობაში არ არის შექმნილი მოსწავლეთა გაერთიანებები, კლუბები, წრეები, რომლებშიც მოზარდები ჩაებმებოდნენ მათი სურვილებისა და ინტერესების მიხედვით. აღმზრდელობითი მუშაობის პროცესში პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ეფექტურად ვერ იყენებენ მოსწავლეთა თვითმმართველობის ორგანოებს, ვერ ახერხებენ მათი დახმარებით აამაღლონ მოსწავლეთა საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტივობა, პირადი ინიციატივა.

სათანადო ყურადღება არ ეთმობა მოსწავლეთა კომიტეტების საქმიანობას. ბევრგან კომიტეტები არჩეულია, ფაქტიურად კი ისინი არავითარ საქმიანობას არ ეწევიან. ზოგ სკოლაში მოსწავლეთა კომიტეტი დღემდე არ არის შექმნილი (ზარდუბნის საშუალო სკოლა). ხშირად ალკკ და მოსწავლეთა კომიტეტების მუშაობაში ადგილი აქვს პარალელიზმს, საკითხების დუბლირებას. როგორც ჩანს, პედაგოგიური კოლექტივები ჯეროვნად ვერ ერკვევიან მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში. რაიონის განათლების განყოფილება და მისი მეთოდკაბინეტი კი ჯერ კიდევ ვერ უწევენ მათ სათანადო დახმარებას და კონტროლს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონის სკოლების პედაგოგიურმა კოლექტივებმა ნაკლები ყუ-რადღება გამოიჩინეს მოსწავლეთა კომიტეტის დებულებისა და იმ საინსტრუქციო წერილების მიმართ, რომლებიც მათ დაეგზავნათ მოსწავლეთა კომიტეტების შექმნისა და მათ საქმიანობასთან დაკავ-შირებით.

კომიტეტების ცალკეულ კომისიებზე მიმაგრებული არ არიან პე-დაგოგები. სუსტია კომკავშირის კომიტეტის ხელმძღვანელი როლი მის მუშაობაზე. ხშირ შემთხვევაში მოსწავლეთა კომიტეტების საქ-მიანობა შემოიფარგლება სანიტარულ-ჰიგიენური და სამეურნეო საკითხებით.

მოსწავლეთა იდეურ-პოლიტიკური აღზრდის გაუმჯობესების, მათი საზოგადოებრივი აქტივობის ამაღლების, აკადემიური მოსწრე-ბის გაუმჯობესების მიზნით რაიონის სკოლებში ჯერ კიდევ სათანა-დოდ ვერ იყენებენ საკავშირო ლენინურ ჩათვლებს. ჩათვლებში მო-ნაწილე უფროსკლასელთა მნიშვნელოვანი ნაწილი არ ასრულებს პირადი კომპლექსური გეგმით გათვალისწინებულ ვალდებულებებს. სუსტად მუშაობენ ლენინური ჩათვლების საატესტაციო კომისიები. მათ მუშაობაში ხშირად ადგილი აქვს ფორმალიზმის გამოვლინების შემთხვევებს. ჩათვლებში მონაწილე ყველა უფროსკლასელს ატეს-ტაციის დროს, როგორც წესი, დადებითი შეფასება ეძლევა, მაშინ როდესაც მათი უმრავლესობა რეკომენდაციებს იმსახურებს აღე-ბული პირადი კომპლექსური გეგმის შეუსრულებლობისათვის.

ზოგჯერ პედაგოგები და კლასის ხელმძღვანელები უხეშად ერე-ვიან მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობაში, ახშობენ მოს-წავლეთა თვითშემოქმედებისა და დამოუკიდებლობის გზებს, თვი-თონ არჩევენ კომკავშირულ თუ მოსწავლეთა კრებებზე გასატანი საკითხების თემატიკას და თვითონვე გააქვთ ის კლასში ჩატარებულ კომკავშირულ თუ მოსწავლეთა კრებებზე. ალისუბნის საშუალო სკოლის მე-10 კლასში ჩატარებულ კრებებზე უკლებლივ ყველა საკი-თხი გამოაქვს კლასის ხელმძღვანელს, მოსწავლეები კი პასიური მსმენელების როლში გამოდიან.

სასკოლო თუ კლასის ღონისძიებები ყოველთვის არ ტარდება სასურველ იდეურ-პოლიტიკურ დონეზე, ხოლო სკოლის დირექციე-ბი და კლასის ხელმძღვანელები ჯერ კიდევ არ აწარმოებენ ამ ღო-

ნისძიებების ანალიზს, არ სახავენ გზებსა და საშუალებებს ამ სფეროში გამოვლინებული ნაკლოვანებების აღმოფხვრის მიზნით.

რაიონის სკოლების პედაგოგიური კოლექტივები ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ მოსწავლეთა სწავლებისა და აღზრდის ყველა კომპონენტი ერთიან კომპლექსად აქციონ, მტკიცედ დაუკავშირონ ერთმანეთს. ხშირად აღმზრდელობითი მუშაობის სხვადასხვა ფორმები ერთმანეთისაგან განყენებულია, არ წარმოადგენენ ერთმანეთის გაგრძელებას, არ ავსებენ ერთმანეთს. ამიტომ აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის საკითხი რაიონის სკოლების უმრავლესობაში განუხორციელებელი რჩება.

თერჯოლის რაიონის პიონერთა და მოსწავლეთა სახლი გარკვეულ მუშაობას ატარებს სკოლების პედაგოგიური და მოსწავლეთა კოლექტივებისათვის მეთოდური დახმარების მიზნით. პიონერთა სახლში შექმნილია სხვადასხვა წრეები, კლუბები, ლექტორიუმები, გაერთიანებები, წარმოებს რაიონის სკოლების კომკავშირული და პიონერული აქტივის სწავლება, მაგრამ პიონერთა სახლი ჯერ კიდევ ვერ ჩაითვლება რაიონის სკოლების მეთოდური მუშაობის ცენტრად. სუსტია მისი დახმარება ზოგიერთი, განსაკუთრებით კი ცენტრიდან მოშორებული, სკოლებისათვის. ჯერ კიდევ არაა მტკიცედ დამკვიდრებული სკოლებისათვის ადგილებზე მეთოდური დახმარების პრაქტიკა.

მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელების საქმეში რაიონის სკოლების პედაგოგიურ კოლექტივებს სათანადო დახმარებასა და კონტროლს ვერ უწევს რაიონის განათლების განყოფილება და მისი მეთოდური კაბინეტი. აღსანიშნავია, რომ განათლების განყოფილებაში დღემდე პერსონალურად არავის არ ევალება აღმზრდელობითი მუშაობის ხელმძღვანელობა და მეთოდური დახმარების გაწევა სკოლებისათვის.

სახალხო განათლების საბჭოსა და მეთოდკაბინეტის საბჭოს სხდომებზე ჯერ კიდევ ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა აღმზრდელობითი მუშაობის საკითხებს. დღემდე რაიონის განათლების განყოფილებას არც ერთ სკოლაში არ შეუსწავლია და მსჯელობის საგნად არ უქცევია აღმზრდელობითი მუშაობის მდგომარეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემოწმების პროცესში ბრიგადის წევრები ადგილებზე კონკრეტულ-დახმარებას უწევდნენ დირექციებსა და პედაგოგიურ კოლექტივებს. მათთან ერთად ახდენდნენ შექმნილი მდგომარეობის ანალიზს და სახავდნენ გზებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

შემოწმების შედეგები განხილული იქნა წინასწარ თათბირზე თერჯოლის რაიონში. თათბირს ესწრებოდნენ სკოლების, სკოლისგარეშე დაწესებულებების ხელმძღვანელები, პედაგოგიური კოლექტივების წარმომადგენლები, ხელმძღვანელი პარტიული, საბჭოთა და კომკავშირული მუშაკები.

აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველო

ქ. მარქსის სახ. საქ. სსრ სახელმწიფო ბიბლიოთეკა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის**
**1980 წლის 22 მაისის**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გადაწყვეტილება

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენის შედეგებისა და მე-4 რესპუბლიკური გამოფენის ჩატარების შესახებ**

1980 წლის 28 მარტს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში ჩატარდა ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენა დევიზით „მოწინავეთა გამოცდილება ყველას!“ გამოფენაზე წარმოდგენილი იყო რესპუბლიკის 25 ქალაქისა და რაიონის სკოლების ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა 300 ნამუშევარი (ფერადი ტაბულები, სადემონსტრაციო მოცემულობათა ბარათები, მოსწავლეთა საშინაო და საკლასო სამუშაოები, საწრეო მუშაობის ამსახველი ალბომები, სხვადასხვა სახის ორნამენტები, როგორც ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლებიდან გადმოღებული, ასევე საკუთარი ფანტაზიით შექმნილი, მოდელები და სხვა).

გამოფენაზე წარმოდგენილი მასალები თავისი შინაარსით და გარეგნული ფორმით ბევრად აღემატებოდა წინა გამოფენაზე წარმოდგენილ მასალებს. გამოფენამ მთლიანად გაამართლა თავისი დანიშნულება, მოწინავეთა გამოცდილებას ფართოდ გაეცნო ჩვენი რესპუბლიკის ხაზვის მასწავლებელთა დიდი ჯგუფი.

გამოფენის პარალელურად გაიხსნა ორდღიანი თათბირ-სემინარი, რომელსაც დაესწრო რესპუბლიკის 95 მასწავლებელი. სემინარზე მოწინავე პედაგოგების მიერ წაკითხულ იქნა საინტერესო მოხსენებები.

გამოფენის წარმატება განაპირობა ამ ღონისძიებისადმი რიგი განათლების განყოფილების დროულმა გამოხმაურებამ. კერძოდ თავი გამოიჩინეს ქ. თბილისის კიროვის რაიონის, გორის, სოხუმის, ზუგდიდის, ცხაკაიის, მახარაძის, გაგრისა და სხვა რაიონების განათლების განყოფილებებმა, მაგრამ იგივეს თქმა არ შეიძლება ქ. თბილისის 1 მაისის, ოქტომბრის, ორჯონიკიძის, ლენინის, საქარხნო,

ეროვნული ბიბლიოთეკა

26 კომისრის, კალინინის, ქ. ქუთაისის, ხობის, გეგეჭკორის, აბაშის, ლანჩხუთის, ჩოხატაურისა და სხვა რაიონების სახალხო განათლების დარგის მუშაკებზე, რომლებმაც ჯეროვანი ყურადღება არ გამოიჩინეს ამ მნიშვნელოვანი ღონისძიების მომზადება-ჩატარებაში. მიზეზად შეიძლება მხოლოდ და მხოლოდ დავასახელოთ ის, რომ ამ რაიონების უმეტეს სკოლებში ხაზვას არ ასწავლიან პროგრამული თანმიმდევრობით (გამოფენაზე წარმოდგენილ მოსწავლეთა სამუშაო რვეულებში ასახული უნდა ყოფილიყო თუ როგორი პროგრამული თანმიმდევრობით ისწავლებოდა ეს საგანი სკოლაში).

კოლეგიამ გადაწყვიტა:

1. დამტკიცდეს ხაზვის მაწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენის საორგანიზაცო კომიტეტის მიერ წარმოდგენილი პროექტი გამოფენაში მოწანილე პედაგოგების და მოსწავლეთა დაჯილდოების შესახებ (დანართი № 1).
2. 1982 წლის 26 მარტს ჩატარდეს ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების მე-4 რესპუბლიკური გამოფენა დევიზით „მოწინავეთა გამოცდილება ყველას!“
   გამოფენის შედეგების შეჯამება და თათბირ-სემინარი მოეწყოს 26 მარტს ქ. თბილისში, მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტში.
3. კონკურსის მომზადებისა და ორგანიზებულად ჩატარების უზრუნველსაყოფად შეიქმნას რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი, კონკურსის ჟიური და სარედაქციო საბჭო (დანართი № 2).
4. დამტკიცდეს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის მიერ წარმოდგენილი დებულება ხაზვის მასწავლებელთა მე-4 რესპუბლიკური გამოფენის ჩატარების შესახებ (დანართი № 3).
5. ეთხოვოს ვ. ი. ლენინის სახელობის საქართველოს პოლიტექნიკურ და თბილისის ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიურ ინსტიტუტებს: პრაქტიკული დახმარება გაუწიონ მას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს ხაზვის მასწავლებელთა ნამუშევრების გამოფენის ჩატარებაში.

6. რესპუბლიკის ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა ფართოდ ჩააბან მასწავლებლები გამოფენა-კონკურსში.
7. მომარაგებისა და დამხმარე წარმოებათა სამმართველომ (ამხ. ო. კერესელიძე) 1982 წლისათვის მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალურ ინსტიტუტს გამოუყოს საჭირო რაოდენობის ქალალდი დებულებისა და სიგელების დასაბეჭდად.
8. გაზეთმა „სახალხო განათლებამ“ გამოაქვეყნოს მასალა გამოფენის ჩატარების შესახებ.
9. საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილემ ამხ. ზ. ლომიძემ კონტროლი დააწესოს ამ გადაწყვეტილების შესრულებაზე.

კოლეგიის თავმჯდომარე

მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ლომიძე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი № 1

მე-3 რესპუბლიკურ გამოფენაზე საუკეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის განათლების სამინისტროს I ხარისხის დიპლომით დასაჯილდოებელ მასწავლებელთა სია:

1. ფიჩხაძე დავით იოსების ძე — ქ. ქუთაისის მე-10 და 28-ე საშუალო სკოლები
2. შარიქაძე ივანე თეოფილეს ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლეღვნის საშუალო სკოლა
3. ხოფერია გრიგოლ ნიკოლოზის ძე — ცხაკაიის მე-2 საშუალო სკოლა
4. ვაშაკიძე მაყვალა ვასილის ასული — ქ. თბილისის 24-ე საშუალო სკოლა
5. გაჩეჩილაძე ევტიპიდა პიმენის ასული — ქ. გორის მე-6 საშუალო სკოლა
6. ახალაია ლუდუკ გერმანეს ძე — ქ. ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლა
7. სტაროსტინი მიხეილ კონსტანტინეს ძე — ქ. გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
8. უძილაური მერაბ ღვთისოს ძე — თბილისის 127-ე საშუალო სკოლა
9. ფირცხალავა ტარიელ ზაქარიას ძე — ჩხოროწყუს რაიონის სოფელ ნაფიჩხოვოს საშუალო სკოლა

მოსწავლეებთან ნაყოფიერი მუშაობისა და გამოფენაში მათი აქტიური მონაწილეობის უზრუნველყოფისათვის განათლების სამინისტროს სიგელით დასაჯილდოებელ მასწავლებელთა სია:

1. ბარამიძე იზაბელა ალექსანდრეს ასული — ქ. თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა
2. ბაჯელიძე ლამარა სტეფანეს ასული — მახარაძის მე-4 საშუალო სკოლა
3. ფირჩხაძე ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე — ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა
4. ლაღიძე გივი გიორგის ძე — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ოფჩის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

5. ოჩხიკიძე ლევან ისიდორეს ძე — ვანის რაიონის სოფელ მუქე-
დის 8-წლიანი სკოლა
6. ბერიძე ტატიანა ევგენის ასული — ადიგენის რაიონის სოფელ
აბასთუმნის საშუალო სკოლა
7. კოვგანი დიანა ალექსანდრეს ასული — სოხუმის მე-10 საშუალო
სკოლა

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს დიპლომით დასა-
ჯილდოებელ მოსწავლეთა სია:**

1. ციციკაშვილი ირინა ვლადიმერის ასული — ქ. გორის მე-6 საშუა-
ლო სკოლა
2. კალესნიკოვი ირინა პეტრეს ასული — ქ. გორის მე-6 საშუალო
სკოლა
3. ტერტერაშვილი ალა ვახტანგის ასული — „
4. ჯანაევი ფატიმა ქსარის ასული — „
5. თევდორაძე თამაზ ნოდარის ძე — ქ. გაგრის 1-ლი საშუალო სკოლა
6. გაგუა თემურ გიორგის ძე — „
7. ლეჟავა პაატა იაკობის ძე — „
8. ჯანაშია ოთარ ვახტანგის ძე — „

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს საპატიო სიგელით
დასაჯილდოებელ მოსწავლეთა სია:**

1. გელაშვილი იგორ ნიკოლოზის ძე — თბილისის 127-ე საშუალო
სკოლა
2. არსენაძე გია ნოდარის ძე — „
3. ზაბროდინა მარინა ნიკოლოზის ასული — „
4. მისნიკ ტატიანა დიმიტრის ასული — „
5. ჩერემისინა ლუდმილა ვლადიმერის ასული — მახარაძის მე-4 სა-
შუალო სკოლა
6. გეგენავა ი. ი. — ქ. სოხუმის მე-10 საშუალო სკოლა
7. მეგრელიშვილი ნ. ი. — „
8. სადატერაშვილი ა. ი. — „
9. ჩოროდიანი ო. ა. — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა
10. ჩიკვაშვილი ა. ი. — „
11. სეფიაშვილი ანზორ შალვას ძე — „

ეროვნული
ბიბლიოთეკა

12. ფიჩხაძე ნ. ა. — ქუთაისის მე-10 საშუალო სკოლა
13. დოგრაშვილი ნ. ი. — „
14. კელენჯერიძე ფ. ა. — მაიაკოვსკის რაიონის სოფელ ოფჩის საშუალო სკოლა
15. დათუნაშვილი ა. ი. —
16. ხუხუა ნინო ივანეს ასული — ზუგდიდის მე-14 საშუალო სკოლა
17. ხუხუა არჩილ ივანეს ძე — „
18. ლაგვილავა თამაზ ვახტანგის ძე — „
19. კვირკველია ზაზა ჯონის ძე — ცხაკაიის მე-2 საშუალო სკოლა
20. ტყებუჩავა ალექსანდრე ეფრემის ძე — ცხაკაიის მე-2 საშუალო სკოლა
21. გაბრიაძე თამარ თამაზის ასული — ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლა
22. ბიწაძე თამარ ივანეს ასული „
23. გოგოლაშვილი მამუკა ალექსანდრეს ძე — „
24. პავლოვი ვალერი ნიკოლოზის ძე — ადიგენის რაიონის სოფელ აბასთუმნის საშუალო სკოლა
25. ჭკადუა გოჩა ამბაკოს ძე — თბილისის 1-ლი საშუალო სკოლა
26. ჯიბლაძე გიორგი გურამის ძე — „
27. თურმანიძე ნინო ლევანის ასული — „
28. ჯიბლაძე ვლასი გურამის ძე — „
29. ჭკადუა ეთერ ამბაკოს ასული — „

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-4 რესპუბლიკური გამოფენის საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა.**

1. დარჩია მამია დომენტის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორი (თავმჯდომარე)
2. გვათუა გიორგი ვლადიმერის ძე — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე სამეცნიერო დარგში (მოადგილე)
3. ჩიხავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე (მდივანი)
4. გიორგობიანი გელა გიორგის ძე — განათლების სამინისტროს ინსპექტორი
5. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — თბილისის პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე, პროფესორი
6. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს. პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ხაზვა-ხატვის კათედრის უფროსი მასწავლებელი
7. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე — პიონერთა სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
8. ქანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე
9. ბარამიძე მაყვალა გრიგოლის ასული — თბილისის 48-ე საშუალო სკოლა
10. ერისთავი ნუნუ გიორგის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა
11. დარახველიძე სავლე იასონის ძე — ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-4 რესპუბლიკური გამოფენის ჟიურის შემადგენლობა:**

1. შავგულიძე ანზორ სერგოს ძე — პოლიტექნიკური ინსტიტუტის მხაზველობითი გეომეტრიის კათედრის გამგე (თავმჯდომარე)

ეროვნული
ბიბლიოთეკა

2. ეპიტაშვილი ალფრედ დავითის ძე — ა. ს პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტის ლექტორი (მოადგილე)
3. მაჭავარიანი დიმიტრი ილიას ძე — რესპუბლიკური პიონერთა სასახლის ხაზვის კაბინეტის გამგე
4. ჩახავა იზოლდა ვახტანგის ასული — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის ხაზვის სასწავლო-მეთოდური კაბინეტის გამგე
5. ჭანტურია ჯემალ აკაკის ძე — თბილისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე
6. დარახველიძე სავლე იასონის ძე — ქუთაისის მასწავლებელთა დახელოვნების ინსტიტუტის ხაზვის კაბინეტის გამგე.

**ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-4 რესპუბლიკური გამოფენის სარედაქციო ჟიური:**

1. ბარამიძე მაყვალა გრიგოლის ასული — თბილისის 48-ე საშუალო სკოლა
2. ერისთავი ნუნუ გიორგის ასული — თბილისის 147-ე საშუალო სკოლა
3. გაჩეჩილაძე ევტიპიდა პიმენის ასული — გორის მე-6 საშუალო სკოლა
4. შარიქაძე ივანე თეოფილეს ძე — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლელვნის საშუალო სკოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 3

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა მე-4 რესპუბლიკური გამოფენის ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-4 რესპუბლიკურ გამოფენას ატარებს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტი.

კონკურსში მონაწილეობის უფლება ეძლევა ზოგადსაგანმანათლებლო რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, აგრეთვე მომუშავე ახალგაზრდობის საღამოს საშუალო სკოლების მასწავლებლებსა და სკოლისგარეშე დაწესებულებებთან არსებულ ნორჩ მხაზველთა წრის ხელმძღვანელებს.

## ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების ჩატარების მიზანი

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შუქზე კომუნისტური მშენებლობის გრადნიოზული განხორციელება მოითხოვს საბჭოთა სკოლაში ძირფესვიანად გაუმჯობესდეს მოზარდი თაობის სწავლა-აღზრდის საქმე.. მოზარდი თაობისა, რომელიც ჩვენი ხვალინდელი დღე, ჩვენი ლამაზი მომავალია.

ეპოქისადმი დამახასიათებელმა ძლიერმა ტექნიკურმა პროგრესმა დააჩქარა ადამიანში გრაფიკული კულტურის ამაღლების აუცილებლობა. გრაფიკულ კულტურას საფუძველი სკოლაში ეყრება. ამიტომ თითოეული პედაგოგის მოვალეობას შეადგენს ჯერ თვითონ დაეუფლოს ღრმად საგანსა და მისი სწავლების მეთოდიკას, ხოლო შემდეგ ასწავლოს მოსწავლეებს. ამ გამოფენის მიზანიც სწორედ ცოდნის შეძენა, გამოცდილების მიღება და განზოგადებაა. ამ გამოფენის ჩატარება, ძირითადად, განაპირობა იმან, რომ რესპუბლიკის უმეტეს სკოლებში ხაზვას ასწავლიან საგნის არასპეციალისტები ან ისეთი სპეციალისტები, რომელთაც პედაგოგიური განათლება არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვთ, ამის და სხვა მიზეზების გამო, რომლის ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანდა საგანი ხაზვა ისწავლება არაპროგრამული მასალით. საგაკვეთილო საათები ეთმობა საოლიმპიადო ამოცანების შესრულებას, რომლის დაძლევა კლასში მხოლოდ ერთეულთათვისაა შესაძლებელი. მოსწავლეთა დანარჩენი ნაწილი ან უაზრო გადმონახატებს ასრულებს ან უქმად ზის. მასწავლებელთა მიერ საგაკვეთილო საათების გადაკეთება საწრეო მუშაობად ყოვლად დასაგმობი და მიუღებელი ფაქტია, რადგან იგი მთლიანად ეწინააღმდეგება სწავლების დიდაქტიკურ პრინციპებს.

წინა სამმა გამოფენამ დაგვანახა, რომ რესპუბლიკაში ჯერ კიდევ ცოტაა ისეთი პედაგოგები, რომლებიც გაკვეთილებს ატარებენ პროგრამული თანმიმდევრობით. ეს თუნდაც იქიდან დასტურდება, რომ გამოფენის დებულების თანახმად მასწავლებლებს უნდა წარმოედგინათ საუკეთესო მოსწავლეების (არაუმეტეს ოთხისა) სამუშაო რვეულები, სავალდებულო გრაფიკული სამუშაოები, და საწრეო მუშაობის ამსახველი მასალები. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი სამუშაო რვეულებიდან ნათელი გახდებოდა თუ როგორი თანმიმდევრობით იქნა სასწავლო პროგრამა ნასწავლი სკოლაში 1-ლი სექტემბრიდან გამოფენის დღემდე, ე. ი. მე-3 მეოთხედის ბოლომდე; როგორ გაასწორა მასწავლებელმა ნახაზებში დაშვებული შეცდომები და რა წერილობითი მითითება მისცა არსებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად, როგორ წარმართავს კლასგარეშე მუშაობას. სამწუხაროდ, გამოფენაზე წარმოდგენილმა ნამუშევრებმა დაგვანახა, რომ ისეთი მასწავლებლები, მოსწავლეებს ხაზვის ელემენტებს პროგრამული თანმიმდევრობით რომ ასწავლიან, ძალზე ცოტანი აღმოჩნდნენ, თუ ეს ასე არა, მაშ რითი ავხსნათ ის გარემოება, რომ გამოფენაში დანარჩენებს მონაწილეობა არ მიუღიათ?!.

სადღეისოდ მოქმედი ხაზვის სასკოლო პროგრამა შემუშავებულია საკავშირო პედაგოგიური კვლევითი ინსტიტუტის და პედაგოგიკის მეცნიერებათა აკადემიის მიერ და მისი საშუალოდ ათვისება თავისუფლად შეუძლია ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის შესაბამისი კლასების მოსწავლეებს, ხოლო მათთვის, ვინც ამ საგნის შესწავლისას გამოამჟღავნებს განსკუთრებულ უნარს, უნდა ჩავატაროთ დამატებითი კლასგარეშე მუშაობა, სადაც მოსწავლეებს მეტი შესა-

ძლებლობა ექნებათ ღრმად დაეუფლონ საინჟინრო გრაფიკის საფუძვლებს. ამ დამატებითი მუშაობის გზით შეიძლება მოსწავლეთა მომზადება ნორჩ მხაზველთა რესპუბლიკური კონკურსისათვის და არა გაკვეთილების ხარჯზე. პროგრამა სახელმწიფო მნიშვნელობით სასწავლო დოკუმენტია, რომლის უგულებელყოფა არავის ეპატიება.

ის ხარვეზები, რაც ამჟამად ხაზვის სწავლებაშია, თანდათან უნდა აღმოვფხვრათ. აღმოფხვრის მრავალი გზა არსებობს, რომელსაც მუშაობაში გამოვიყენებთ, ამ გზათა შორის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი იქნება მოწინავე გამოცდილების გაცნობა და განზოგადება, რომლის გამხორციელებაში თავის დადებით სიტყვას იტყვის ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების რესპუბლიკური გამოფენები.

## კონკურსის პირობები

გამოფენაზე წარმოდგენილი უნდა იქნეს:

1. თვითნაკეთი თვალსაჩინოებანი: ტაბულების, მოდელების სადემონსტრაციო ნახაზებისა და მოცულობათა სახით.
2. ხაზვის პოპულარიზაციის მიზნით გამოშვებული სასკოლო კედლის გაზეთები.
3. ღია გაკვეთილის მეთოდური გაერთიანების და გაკვეთილის გეგმის ნიმუში.
4. მოსწავლეთა სამუშაო რვეულები, რომლებშიც შეტანილი იქნება სასწავლო წლის მანძილზე შესრულებული ყველა საკლასო სამუშაო და ზოგჯერ საშინაო დავალებებიც.
5. სავალდებულო გრაფიკული სამუშაოები აკინძული სახით უნდა იქნეს წარმოდგენილი. გამოფენის მონაწილე მასწავლებლებს შეუძლიათ წარმოადგინონ მაქსიმუმ ოთხი მოსწავლის ნამუშევარი. სასურველია თუ ეს მოსწავლეები იქნებიან სხვადასხვა კლასიდან (ოთხზე მეტი რაოდენობის ნამუშევარი კონკურსგარეშე ითვლება).

გამოფენაზე წარმოდგენილი ყველა სახის ნამუშევრებზე გარკვევით იყოს აღნიშნული რაიონი (ქალაქი), სკოლა, გვარი, სახელი, მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სახელი. წინააღმდეგ შემთხვევაში წარმოდგენილი მასალა კონკურსში მონაწილეობის უფლებას დაკარგავს.

საგამოფენო მასალა მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის (პლეხანოვის გამზ. 178) ხაზვის სასწავლო-მეთოდურ კაბინეტში პირადად ჩამოტანილ იქნეს მასწავლებლის მიერ 1982 წლის 23 მარტს.

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროსა და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის

## გადაწყვეტილება

**ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-15 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ**

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია და საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო აღნიშნავენ, რომ ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკური შეკრება დევიზით „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი, ჩატარდა მაღალ იდეურ და ორგანიზაციულ დონეზე.

შეკრებაზე მასობრივად გამოვლინდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და ლენინური კომკავშირის ისტორიის შესწავლით დაინტერესებული მოსწავლე ახალგაზრდობა, სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სახლებისა და სასახლეების, მხარეთმცოდნეთა საზოგადოებების, კლუბების, სექციებისა და წრეების მიერ ჩატარებული შინაარსიანი და მრავალფეროვანი შრომითი საქმიანობა.

შეკრებაზე წარმოდგენილი მასალები ნათლად ასახავდნენ, თუ როგორი ინტერესით სწავლობენ ნორჩი მხარეთმცოდნეები მშობლიური მხარის ისტორიულ-რევოლუციურ წარსულს, რევოლუციისათვის თავდადებული მებრძოლების ცხოვრებასა და მოღვაწეობას, თავისი მხარის საზოგადოებრივი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს მოვლენებს, ფაქტებს და სკკპ XXV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად ეცნობიან სოციალისტური ყოფის არსებით მხარეებს, ბედნიერ აწმყოსა და კიდევ უფრო ნათელი მომავლის პერსპექტივებს, საბჭოთა ხალხის — მუშების, კოლმეურნე გლეხობისა და ინტელიგენციის პატრიოტულ თაოსნობებს, კომუნიზმის მშენებლობის დიდ ქარტიაში — ახალ საბჭოთა კონსტიტუციაში — ოქროს ასოებით ჩაწერილ განვითარებული სოციალიზმის ქვეყნის ძირითად კა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნონებს, ყველა იმ სიკეთეს, რაც მოუტანა ჩვენს ქვეყანას დიდი ლენინის წინამძღოლობით დიდმა ოქტომბრის სოციალისტურმა რევოლუციამ.

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაში მონაწილეობა მიიღო რესპუბლიკის 55 რაიონისა და ქალაქის რვაწლიანი და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეებისა და სახლების 900-მდე მოსწავლემ, აგრეთვე ქალაქების: გროზნის, მახაჩკალის, ბაქოს, ასტრახანის, კურგანისა და მოგილევის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების ნორჩმა მხარეთმცოდნეებმა.

აღსანიშნავია ქ. ქ. თბილისის, ქუთაისის, ცხინვალის, ბათუმის, სოხუმის, მახარაძის, ტყიბულის, ჩოხატაურის, გეგეჭკორის, ცხაკაიის, საჩხერის, ზუგდიდის, სიღნაღის, თელავის, გურჯაანის, გარდაბნის, თეთრიწყაროს, კასპის, გუდაუთის, ლანჩხუთის, ვანის, საგარეჯოს, გორის, ქარელის, ბორჯომის, ლაგოდეხის, დუშეთის, ჭიათურის, წალკის, ლენტეხის, წითელწყაროს, მაიაკოვსკის, ორჯონიკიძისა და სხვა რაიონების ნაყოფიერი საქმიანობა.

ყოველწლიურად იზრდება შეკრების მონაწილეთა რაოდენობა, მათი მუშაობის ინტერესი, ძიების ასპარეზი. მოსწავლეთა შემეცნებით მუშაობას თანადროულობის შესაბამისად საზოგადოებრივ-სასარგებლო ხასიათი ეძლევა, რაზეც შესანიშნავად მეტყველებდნენ ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური საზოგადოება „ნორჩი მკვლევარის“ მემატიანე-ისტორიკოსთა, ეთნოგრაფთა, არქეოლოგთა, ძეგლის მეგობართა, გეოგრაფია-გეოლოგთა და ტურისტთა კლუბების სექციებში გაერთიანებული მოსწავლეთა მრავალფეროვანი ნამუშევრები, მოხსენებები, ნარკვევები, საკვლევაძიებო ხასიათის ინფორმაციები, ფოტოსტენდები, დიაგრამები, ნაკეთობანი, არქეოლოგიური და გეოგრაფ-გეოლოგიური კოლექციები, მხატვრულად გაფორმებული ტურისტული მარშრუტები, განსაკუთრებული მოწონება დაიმსახურა ანთროპოლიგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა მე-10 საერთაშორისო კონგრესისადმი (ინდოეთი—დელი) მიძღვნილმა ნორჩ ეთნოგრაფთა ნამუშევრების გამოფენამ.

კონსტიტუციის სახელობის მოედანზე დიდი აღმავლობით ჩა-

ტარდა ნორჩ მხარეთმცოდნეთა მანიფესტაცია-მიტინგი მიძღვნილი ახალი საბჭოთა კონსტიტუციისადმი; ვ. ი. ლენინის ძეგლის ცოცხალი ყვავილების თაიგულებით შემკობის ცერემონიალი. მოეწყო ხელმძღვანელი მასწავლებლების შეხვედრა საისტორიო საზოგადოების პრეზიდიუმის წევრებთან.

შეკრების სხვადასხვა სექციების მონაწილეთათვის მომზადდა და დაიბეჭდა სამახსოვროები „ნიკე“, „ჩუქურთმა“, „საგანძური“, „ხალხური“ და სხვა.

შეკრების შედეგები განზოგადოებულ იქნა ტურისტ-მხარეთმცოდნეთა საკავშირო თათბირზე ქ. ლენინგრადში, მოხსენება თემაზე: „პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეების როლი მშობლიური მხარის კომპლექსური შესწავლის საქმეში“ (მომხსენებელი რესპუბლიკის დამსახურებული მასწავლებელი ირინე მიქელაძე).

ამასთანავე დამუშავდა, დაიბეჭდა და გაიგზავნა 1978 წელს ინდოეთის დედაქალაქ დელიში ანთროპოლოგიურ და ეთნოგრაფიულ მეცნიერებათა მე-10 საერთაშორისო კონგრესზე საზოგაგოება „ნორჩი მკვლევარის“ სექციის „ხალხურის“ პრაქტიკული საქმიანობის ამსახველი ბუკლეტი „ნორჩი ეთნოგრაფი“ ქართულ, რუსულ და ინგლისურ ენებზე (ავტორი ი. მიქელაძე, რედაქტორი აკად. გ. ჩიტაია).

ამასთან ერთად, შეკრების მომზადება-ჩატარებაში შეინიშნებოდა ცალკეული ხასიათის ნაკლოვანებები, საერთოდ შეკრებაში მონაწილეობა არ მიუღიათ გულრიფშის, გაგრის, ტყვარჩელის, ყაზბეგის, მესტიის, ახალქალაქის რაიონებს. ზოგიერთი ქალაქისა და რაიონის მონაწილეობა კი განისაზღვრებოდა ერთი ან ორი სკოლით, ადგილი ქონდა ფორმალიზმის ნიშნების მატარებელი მასალების წარმოდგენის შემთხვევებს, რომლებშიც არ ჩანდა წლების მანძილზე მხარეთმცოდნეობითი წრეების მიერ ჩატარებული გეგმაზომიერი, მიზანდასახული და შინაარსიანი მუშაობა.

ზემოაღნიშნული ნაკლოვანებები კი განაპირობა რიგი განათლების განყოფილებების, კომკავშირის საქალაქო და რაიონული კომიტეტების არასათანადო ყურადღებამ ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისადმი.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ და სა-

ქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ გადაწყვიტეს:

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაზე საუ-კეთესო ნამუშევრების წარმოდგენისათვის საქართველოს განათ-ლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს — 155 მოსწავლე.

2. საუკეთესო კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის გა-ნათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს სასკოლო და სკო-ლისგარეშე დაწესებულების 48 წრე და მუზეუმი (დანართი № 1).

3. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების მო-მზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოვდეს რესპუბლიკის სკოლების 67 მასწავლებელი და წრის ხელმძღვანელი (დანართი № 2).

4. სამხარეთმცოდნეო მუშაობაში მოსწავლეთა ფართოდ ჩაბმისა და ნორჩ მხარეთმცოდნეთა რესპუბლიკური შეკრებების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოვდეს „სახალ-ხო განათლების წარჩინებულის“ სამკერდე ნიშნით 5 მასწავლებელი

5. ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-15 რესპუბლიკური შეკრება ჩა-ტარდეს 1980 წლის 25—26 ოქტომბერს და მიეძღვნას საბჭოთა სა-ქართველოს მე-60 წლისთავს, მისი ჩატარების ორგანიზაცია დაევა-ლოს პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს.

6. დამტკიცდეს ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-15 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა (დანარ-თი № 4).

7. დამტკიცდეს ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-15 რესპუბლიკური შეკრებისათვის გათვალისწინებული ხარჯთაღრიცხვა.

8. აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე კონტროლი და-ევალოს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელო-ბითი მუშაობის სამმართველოს (ამხ. ე. ზარქუა), საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყო-ფილებას (ამხ. ი. ჯიქურაშვილი).

| | |
|---|---|
| **საქართველოს ალკკ ცენტრა-ლური კომიტეტის** | **საქართველოს სსრ განათლების მინსტრის პირველი მოადგილე** |
| **მდივანი შ. შარტავა** | **ზ. ლომიძე** |

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დანართი №1

ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკურ შეკრებაზე საუკეთესო კოლექტიური ნაშრომების წარმოდგენისათვის დაჯილდოებულ სასკოლო და სკოლისგარეშე დაწესებულებების წრეებისა და მუზეუმების სია:

1. საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
2. წალკის რაიონის სოფელ კუშჩის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
3. ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე
4. ზუგდიდის მე-2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
5. მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის სასკოლო მუზეუმი
6. ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე
7. სიღნაღის რაიონის სოფელ მაღაროს საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
8. გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
9. გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
10. გარდაბნის რაიონის სოფელ ვარკეთილის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
11. მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის ხალხთა მეგობრობის მუზეუმი
12. თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის სასკოლათაშორისო მუზეუმი
13. კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის საშუალო სკოლის მუზეუმი
14. ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლის სასკოლათაშორისო მუზეუმი
15. გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
16. გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

17. დაბა ვანის კიროვის სახ. საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
18. საგარეჯოს 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
19. საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
20. ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
21. ცხაკაიის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე
22. ცხაკაიის მე-7 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
23. ქ. გორის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრე
24. თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
25. ცხაკაიის რაიონის სოფელ ნაქალაქევის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
26. ქარელის მე-3 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
27. ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის საშუალო სკოლის გეოგრაფიის წრე
28. დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
29. დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის ნორჩ ეთნოგრაფთა სახელოსნო
30. ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
31. საგარეჯოს მე-2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
32. ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი
33. თბილისის მე-100 საშუალო სკოლის ისტორიის წრე
34. თბილისის 68-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
35. თბილისის 130-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
36. თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე
37. თბილისის მე-8 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
38. თბილისის 75-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
39. თბილისის 65-ე საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
40. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ისტორიის წრე
41. თბილისის 66-ე საშუალო სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმი
42. თბილისის 37-ე საშუალო სკოლის საბრძოლო დიდების მუზეუმი

ეროვნული ბიბლიოთეკა

43. კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის ძეგლთა ნორჩ მეგობართა საგუშაგო
44. მახარაძის რაიონის სოფელ ბახვის საშუალო სკოლის მემორიალური მუზეუმი
45. თელავის 1-ლი საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
46. თელავის მე-4 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრე
47. თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრე

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 2

**ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების მომზადება-ჩატარებაში აქტიური მონაწილეობისათვის დაჯილდოებულ მასწავლებელთა და წრის ხელმძღვანელთა სია**

1. ქემოკლიძე ქუქუნა იოსების ასული — თბილისის მე-100 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
2. სოლოდენკო ალექსანდრა კონსტანტინეს ასული — თბილისის 50-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
3. ლაშქარავა ნინო სამსონის ასული — თბილისის 130-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
4. ხარგალაძე სოფიო ზურაბის ასული — თბილისის მე-8 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
5. კობერიძე ნაირა ალექსანდრეს ასული — თბილისის 75-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
6. გაბუნია ლია ალექსანდრეს ასული — თბილისის 37-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
7. ლომაძე ნაზი დანიელის ასული — თბილისის 68-ე საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
8. გიგატიშვილი მიხეილ — საჩხერის რაიონის სოფელ ქორეთის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
9. მიქაელიანი აკოფ სარქისის ძე — წალკის რაიონის სოფელ კუშჩის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
10. კაპრელიანი არდვიგ აკოფის ასული — წალკის რაიონის სოფელ კუშჩის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი
11. კოპალიანი ეთერ ინდიკოს ასული — ცაგერის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის პიონერხელმძღვანელი
12. როგავა კლიმენტინა გერასიმეს ასული — ლანჩხუთის რაიონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
13. ფრუიძე დავით აპოლონის ძე — ქუთაისის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის განყოფილების გამგე
14. მოისწრაფიშვილი კლარა სარდიონის ასული — ლანჩხუთის რაი-

ონის სოფელ ნიგვზიანის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

15. მათითაიშვილი ნატო თევდორეს ასული — ლანჩხუთის რაიონის ისტორიის მასწავლებელი

16. მერკულოვა ნათელა ესტატეს ასული — კასპის რაიონის სოფელ ქვემო გომის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

17. კოპალიანი მაყვალა სამსონის ასული — ცაგერის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

18. ხოხლენკო გივი ანტონის ძე — მახარაძის 1-ლი საშუალო სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი

19. ლობჟანიძე ბორის ივანეს ძე — ტყიბულის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

20. ღარიბოვი თამილა სერგოს ასული — სიღნაღის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

21. კოლელიშვილი ვიქტორ ზაქარიას ძე — თელავის მე-2 საშუალო სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი

22. ივანიშვილი ლალი თეიმურაზის ასული — თელავის რაიონის სოფელ ცშავლის საშუალო სკოლის პიონერხელმძღვანელი

23. გიგინეიშვილი მეწყინა ალექსანდრეს ასული — ქობულეთის რაიონის სოფელ წყავროკას საშუალო სკოლის დირექტორი, ისტორიის მასწავლებელი

24. მაისურაძე გიორგი ზაქარიას ძე — გურჯაანის რაიონის სოფელ შრომის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

25. ხუსკივაძე ქრისტინე მელიტონის ასული — გურჯაანის რაიონის სოფელ ვაზისუბნის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

26. სომხიაშვილი ნუნუ გიორგის ასული — ლაგოდეხის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

27. დოხტურიშვილი ნინა ლევანის ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ სართიჭალის მე-2 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

28. ფირცხალაშვილი ნადია კალენიკეს ასული — ლანჩხუთის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

29. წიროვავა ვლადიმერ კონსტანტინეს ძე — გარდაბნის რაიონის



ეროვნული ბიბლიოთეკა

ვარკეთილის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

30. როსტიაშვილი ლუისი ალექსის ასული — საგარეჯოს პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
31. ხინთიბიძე ზინა გიორგის ასული — მახარაძის მე-2 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
32. ჩარბოლაშვილი მარიამ შეთეს ასული — დუშეთის რაიონის ანანაურის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
33. ბუცხრიკიძე ალექსანდრე ირაკლის ძე — თერჯოლის რაიონის სოფელ ჩხარის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
34. საჩანელი მანანა სიმონის ასული — კასპის რაიონის სოფელ ქვემოჭალის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი
35. შამუგია რაისა ვასილის ასული — ზუგდიდის რაიონის სოფელ ოქტომბრის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
36. კვარაცხელია დავით იოსების ძე — გუდაუთის მე-2 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
37. გოცირიძე ალბერტ ილიას ძე — ბოლნისის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის დირექტორი
38. ბოჭორიშვილი გუგული გალაქტიონის ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის ორგანიზატორი
39. ზვიადაური ლალი ბაუცის ასული — გარდაბნის რაიონის სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორის მოადგილე
40. ელიავა გივი ვლადიმერის ძე — გეგეჭკორის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
41. კურტანიძე ლამარა ალექსანდრეს ასული — ორჯონიკიძის რაიონის სოფელ ლორეშის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
42. ძაგნიძე ანტიხო ვარლამის ასული — ვანის რაიონის კიროვის სახ. საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი
43. ელიგარაშვილი ნანა ვახტანგის ასული — დუშეთის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი
44. პაიჭაძე ნორა ნოეს ასული — ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი
45. გეგენავა ლამარა დომენტის ასული — ცხაკაიის მე-7 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

46. მიქაძე თალიკო ვლადიმერის ასული — სამტრედიის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი

47. კოშუაშვილი კლარა ვასილის ასული — გორის პიონერთა სასახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

48. ტრანკაძე იულია დიანოზის ასული — ზნაურის რაიონის ქართული საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

49. ალასანია ქენორა იასონის ასული — ცხაკაიის რაიონის სოფელ ნაქალქევის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

50. ახალკაცი ოლია გიორგის ასული — ქარელის მე-3 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

51. მექოშვილი ვასილ სიმონის ძე — ქარელის პიონერთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

52. მაისურაძე დოდო იასონის ასული — ახმეტის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

53. ტყებუჩავა ლუბა სპირიდონის ასული — ცხაკაიის 1-ლი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

54. ლაცაბიძე მერი დავითის ასული — ბორჯომის რაიონის სოფელ დვირის საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

55. დოლიძე ნინო ერმალოს ასული — ჩოხატაურის 1-ლი საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

56. გოგოლაური ირაკლი — დუშეთის რაიონის სოფელ პირმისაანთკარის სკოლა-ინტერნატის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

57. ხარებავა კლავდია ნიკოლოზის ასული — ცხინვალის მე-3 საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

58. წიკლაური ლეილა ზაქარიას ასული — თეთრიწყაროს რაიონის სოფელ მანგლისის საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

59. კილიქსაევა ეკატერინე ვასილის ასული — ცხინვალის მე-7 საშუალო სკოლის გეოგრაფიის მასწავლებელი

60. ხუციშვილი ალექსი ლევანის ძე — წითელწყაროს რაიონის სოფელ არხილოს საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

61. ციცხვაია ხარიტონ გაბრიელის ძე — საგარეჯოს რაიონის სოფელ გომბორის საშუალო სკოლის ისტორიის მასწავლებელი

62. სამხარაძე გოდერძი იასონის ძე — ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

63. კვირკველია გიგლა კონსტანტინეს ძე — ჩხოროწყუს რაიონის სკოლა-ინტერნატის ისტორია-გეოგრაფიის მასწავლებელი

64. ასლანიდი გალინა გიორგის ასული — თბილისის 68-ე საშუალო სკოლის სასწავლო ნაწილის გამგე

65. ლომიძე ლეილა ვასილის ასული — კასპის რაიონის სოფელ ახალქალაქის საშუალო სკოლის ძეგლის ნორჩ მეგობართა საგუშაგოს ხელმძღვანელი

66. ციკაშვილი მიხეილი ილიას ძე — თელავის პიონერთა და მოსწავლეთა სახლის მხარეთმცოდნეობის წრის ხელმძღვანელი

დანართი № 4

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-15 რესპუბლიკური შეკრების საორგანიზაციო კომიტეტის შემადგენლობა**

1. ჩიტაია გ. — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი (თავმჯდომარე)
2. ლომიძე ზ. — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე (თავმჯდომარის მოადგილე)
3. ზარქუა ე. — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ჯიქურაშვილი ი. — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
5. ქლენტი თ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორი
6. გოდერძიშვილი ნ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე
7. ფაილოძე ნ. — გაზეთ „სახალხო განათლების“ განყოფილების გამგე
8. სამხარაძე ჯ. — ნორჩ ტურისტთა რესპუბლიკური სადგურის დირექტორი
9. ჭკადუა ა. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობისა და ტურიზმის განყოფილების გამგე
10. ქველაძე ნ. — ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის მხარეთმცოდნეობის კაბინეტის გამგე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის

## გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

**მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი მიძღვნილი მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ**

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურო, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგია აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერება ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ბაზაზე 1979 წლის 5, 6 მაისს ჩატარდა ორგანიზებულად და მაღალ იდეურ დონეზე.

დათვალიერებაში მონაწილეობდა რესპუბლიკისა და ქალაქების 35 რაიონის სკოლების 150 მოსწავლე.

დათვალიერების დასკვნით სხდომაში მონაწილეობდნენ ცნობილი და სახელოვანი მეცნიერები, რომლებმაც არა ერთი სასარგებლო რჩევა-დარიგება და შემდგომში ნაყოფიერი მუშაობისათვის საჭირო მითითებები მისცეს დათვალიერების მონაწილეებს.

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-3 რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეთა კანდიდატების შერჩევასა და ნამუშევრების წარმოდგენას პასუხისმგებლობით მოეკიდნენ: ზესტაფონის, გურჯაანის, სოხუმის, ლანჩხუთის, ხობის, ცხაკაიის, თელავის, აბაშის, კასპის, ვანის, ჭიათურის, ხელვაჩაურის, შუახევის, ყვარლის, ქობულეთის, თბილისის 26 კომისრის, ლენინის, 1-ლი მაისის, ოქტომბრისა და ორჯონიკიძის სახ. რაიონების კომკავშირის რაიონული კომიტეტები და პიონერთა სახლები.

სუსტად წარმოდგნენ დათვალიერბაზე ქ. ქ. გორის, ბათუმის, ცხინვალისა და რიგი რაიონები. ამასთან აღსანიშნავია, რომ შეკრება-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე ჩამოსულ ზოგიერთ მოსწავლეს ჩამოყვნენ არაკომპეტენტური პირები, რამაც განაპირობა მათი აქტიურობის დაბალი დონე.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის ბიურომ და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიამ გადაწყვიტეს:

1. აღინიშნოს, რომ დათვალიერებაზე მაღალი შეფასება მიიღეს: ქობულეთის რაიონის სოფელ ჩლამბრის საშუალო სკოლის ინტერკლუბის თავმჯდომარემ — ნანი მჟავანაძემ, ყვარლის მე-3 საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ნანა ჩახნაშვილმა, ჩოხატაურის რაიონის სოფელ შუა განახლების საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ რუსუდან სიხარულიძემ, ბორჯომის მე-3 საშუალო სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ნიკოლოზ ხალაიჯევმა, თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ინტერკლუბის თავმჯდომარემ ნინო ალექსიშვილმა, ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლემ ედუარდ მელაძემ, თბილისის 35-ე საშუალო სკოლის ინტერკლუბის თავმჯდომარემ ვიოლეტა გრიგორიადიმ, ქ. თბილისის 26 კომისრის სახ. რაიონის პიონერთა სასახლის ინტერკლუბის თავმჯდომარემ მე-80 საშუალო სკოლის მოსწავლე ნაირა დოდოიანმა, ქ. თბილისის 119-ე საშუალო სკოლის ინტერკლუბის თავმჯდომარემ ლია ნარიმანიძემ.

2. მოსწავლეთა ინტერნაციონალური და პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდის საქმეში ადგილებზე გაწეული საინტერესო და ნაყოფიერი მუშაობისათვის დაჯილდოვდნენ სიგელებით სკოლებისა და პიონერთა სახლების ინტერკლუბების მუშაობაზე პასუხისმგებელი პედაგოგები და პიონერხელმძღვანელები (სია თან ერთვის).

3. ჩატარდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერება. 1981 წლის 16, 17 მაისს ქ. თბილისში ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის თეატრალურ და სარკეებიან დარბაზებში დამტკიცებული დებულების შესაბამისად და მიეძღვნას საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავს.

4. დამტკიცდეს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმებისა და ოთახების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი (დანართი № 1).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

5. ნება დაერთოს ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეს მე-4 რესპუბლიკური დათვალიერებისათვის საჭირო თანხა გაიღოს საკუთარი ბიუჯეტიდან.

6. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგეს ამხ. ი. ჯიქურაშვილს, საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსს ამხ. ე. ზარქუას.

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი

მ. წიკლაური

საქართველოს სსრ განათლების მინისტრის პირველი მოადგილე

ზ. ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დ ე ბ უ ლ ე ბ ა

## მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შ ე ს ა ხ ე ბ

დებულების დევიზია:
„ძმაო, ძმითა ხარ ძლიერი".

შრომის წითელი დროშის ორდენოსანი ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დანიელ ფერის სახელობის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი ატარებს მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების რესპუბლიკურ დათვალიერებას, მიძღვნილს საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისთავისადმი.

### დათვალიერების მიზნები და ამოცანები

დათვალიერება მიზნად ისახავს მოზარდი თაობის საბჭოთა პატრიოტიზმისა და ინტერნაციონალური სულისკვეთებით აღზრდას, მოსწავლეთა შორის საზოგადოებრივ-პოლიტიკური აქტიურობის ფორმირებას, მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს ხალხთა ისტორიის, ეკონომიკისა და კულტურის შესწავლის საქმეში კომკავშირული და პიონერული ორგანიზაციების მუშაობის შემდგომ გაუმჯობესებას, მოსწავლეთა აქტიურ მონაწილეობას სოლიდარობის აქციებში, საკავშირო კომკავშირისა და ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის ინტერნაციონალურ აქციებში, მოსწავლეთა მიერ საერთაშორისო ბავშვთა და მოზარდთა მოძრაობის შესწავლას, მეგობრული ურთიერთობის დამყარებას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების ინტერნაციონალურ კლუბებთან.

მოსწავლეებმა ღრმად უნდა შეიგნონ და პროპაგანდა გაუწიონ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის ძვირფასი მონაპოვრის — ლენინური ინტერნაციონალური პოლიტიკის გამარჯვებას ჩვენს ქვეყანაში, რაც თავის გამოხატულებას პოულობს საბჭოთა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხალხის ძმობაში, ერთიანობასა და ურღვევ მეგობრობაში, მსოფლიოს პირველი სოციალისტური ქვეყნის საერთაშორისო ავტორიტეტის ზრდაში, შემოქმედებითად უნდა გამოიყენონ სკკპ 26-ე და საკავშირო ალკკ მე-18 ყრილობების ისტორიული გადაწყვეტილებები. შეისწავლონ და გაეცნონ ვ. ი. ლენინისა და მისი თანამებრძოლების ცხოვრების, მოღვაწეობის, საბჭოთა სახელმწიფოსა და კომუნისტური პარტიის, ლენინური კომკავშირის გმირულ ისტორიას.

### დათვალიერების შინაარსი და ფორმები

ქალაქებისა და რაიონების დიდების მუზეუმებში უნდა მოეწყოს ნორჩ ინტერნაციონალისტთა შეხვედრა-შეკრებები პარტიისა და კომკავშირის ვეტერანებთან, ხუთწლედის გმირებთან, დიდი სამამულო ომის მონაწილეებთან, მეცნიერებისა და ხელოვნების თვალსაჩინო წარმომადგენლებთან.

ნორჩმა ინტერნაციონალისტებმა უნდა შეაგროვონ თავიანთი ქალაქის, რაიონის თუ სოფლის საპატიო მოქალაქეთა ავტობიოგრაფიული მონაცემები და გაგზავნონ ხალხთა მეგობრობის მუზეუმში საექსპონატო მასალების შევსების მიზნით. დათვალიერების მიმდინარეობის პერიოდში უნდა ჩატარდეს მეგობრობის ფესტივალები, საზეიმო შეხვედრები, ტურისტული ლაშქრობები, მიზნობრივი ექსკურსიები, დაუსწრებელი მოგზაურობები მოძმე რესპუბლიკებისა და საზღვარგარეთის ქვეყნებში, სპორტული შეჯიბრებები „მშვიდობის თასზე“, ნაციონალური სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო შესრულებაზე.

1. შემოქმედებითად უნდა გაიშალოს მუშაობა მარშრუტებზე, „საბჭოთა კავშირი ჩემი სამშობლოა“ და „მშვიდობა და სოლიდარობა“.

2. მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების აქტივისტებმა თავიანთი კონკრეტული საქმეებით უნდა გამოხატონ კლასობრივი სოლიდარობა.

3. იმპერიალიზმის წინააღმდეგ მებრძოლი ხალხებისადმი შეაგროვონ მაკულატურა, ჯართი, ჩაებან ფაბრიკა-ქარხნებისა და კოლმეურნეობების მუშაობაში და გამომუშავებული თანხა შეიტანონ მშვიდობის ფონდში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეგროვილი და შესწავლილი მასალების საფუძველზე მოეწყობა თავიანთი და მოძმე რესპუბლიკების, სოციალისტური ბანაკების ქვეყნების მიღწევებისა და ამ ქვეყნებში თავიანთი თანატოლების ცხოვრების ამსახველი გამოფენები.

## დათვალიერების ორგანიზაცია

დათვალიერება ტარდება ორ წელიწადში ერთხელ, მისი შედეგები ჯამდება ბორის ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკურ სასახლეში.

რესპუბლიკურ დათვალიერებაში მონაწილეობისათვის სკოლების და სკოლა-ინტერნატების კომკავშირულ კრებებზე, პიონერულ შეკრებებზე და სკოლისგარეშე დაწესებულებების ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების საბჭოს სხდომებზე ნორჩი ინტერნაციონალისტები იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს.

პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეები და სახლები მეთოდურ დახმარებას უწევენ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმებისა და ოთახების აქტივისტებს.

დათვალიერების შედეგების შეჯამება ევალებათ ოლქის, ქალაქისა და რაიონის განათლების განყოფილებებსა და კომკავშირის რაიონულ კომიტეტებს.

## დათვალიერების ვადები

1981 წლის 1 მარტიდან 25 მარტამდე რაიონული და საქალაქო განათლების განყოფილებებმა კომკავშირის რაიონულ კომიტეტებთან ერთად უნდა შეისწავლონ ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მუშაობა.

1981 წლის 1 აპრილიდან 20 აპრილამდე თვითეული საუკეთესო ობიექტის მუშაობის ამსახველ მასალებს, რეკომენდაციასთან ერთად, უგზავნიან რესპუბლიკურ საორგანიზაციო კომიტეტს მისამართით: თბილისი, რუსთაველის პრ. № 6, პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლე, ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი.

1981 წლის 20 აპრილიდან 5 მაისამდე დათვალიერების რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტი განიხილავს შემოსულ მასალებს, გამოავლენს გამარჯვებულებს, რომელთაც მიეცემათ უფლება მონაწილეობა მიიღონ დათვალიერების შემაჯამებელ გამოფენასა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და გამარჯვებულ მოსწავლეთა ზეიმში, რომელიც ჩატარდება 1981 წლის 16, 17 მაისს.

### დაჯილდოება

მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის საუკეთესო კლუბები, მუზეუმები, ოთახები და კუთხეები, რომლებიც შერჩეული იქნებიან რესპუბლიკური საორგანიზაციო კომიტეტის წარდგინებით, დაჯილდოვდებიან საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და განათლების სამინისტროს სიგელებით, ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის სიგელით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დანართი № 1

**მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმებისა და ოთახების მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების საორგანიზაციო კომიტეტი**

1. კობახიძე მანანა — საქართველოს სსრ განათლების მინისტრის მოადგილე (საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე)
2. წიკლაური მერი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი
3. ზარქუა ენდი — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს აღმზრდელობითი მუშაობის სამმართველოს უფროსი
4. ჯიქურაშვილი ირაკლი — საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მოსწავლე ახალგაზრდობის განყოფილების გამგე
5. სუჯაშვილი კობა — განათლების სამინისტროს სკოლების სამმართველოს უფროსი
6. თუთბერიძე ჰამლეტ — განათლების სამინისტროს სკოლა-ინტერნატებისა და საბავშვო სახლების სამმართველოს უფროსი
7. ტაბალუა ილია — ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი
8. მირესაშვილი ციალა — მასწავლებელთა დახელოვნების ცენტრალური ინსტიტუტის პედაგოგიკის კათედრის გამგის მოადგილე
9. ნემსიწვერიძე თამარ — აღმზრდელობითი მუშაობის რესპუბლიკური სამეცნიერო-მეთოდური ცენტრის იდეურ-ზნეობრივი აღზრდის განყოფილების უფროსი
10. გოდერძიშვილი ნოდარ — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის დირექტორის მოადგილე
11. კობიაშვილი ეთერ — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის პოლიტმასობრივი განყოფილების გამგე
12. მახარაძე ელენე — ბ. ძნელაძის სახ. პიონერთა და მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის ინტერნაციონალური აღზრდის კაბინეტის გამგე

დანართი № 3

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-3 რესპუბლიკურ დათვალიერებაში საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სიგელით დაჯილდოებულ პედაგოგთა

## სია

1. მერი იოსების ასული ხოსიტაშვილი — გურჯაანის რაიონის სოფელ კარდანახის საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი
2. მანანა გელენიძე — ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი
3. ნათელა ნიკოლოზის ასული ჩხეტია — ზესტაფონის 1-ლი საშუალო სკოლის ფრანგული ენის პედაგოგი
4. ევგენია მიხეილის ასული სარქისოვა — თბილისის 98-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური კლუბის ხელმძღვანელი
5. ელეონორა სერგოს ასული შაგინიანი — 91-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი
6. ლენა ნიკოლოზის ასული ზინკოვსკაია — 26 კომისრის სახ. რაიონის პიონერთა სახლის დირექტორი
7. ელენე სიმონის ასული ბაბიჩევა — 64-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი
8. მავული ქარჩავა — თბილისის მე-2 ექსპერიმენტული სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი
9. სვეტლანა მიხეილის ასული დანაჩევა — ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანის საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი
10. ნათელა სტეფანეს ასული ყირქისელაშვილი — თბილისის 155-ე საშუალო სკოლის პედაგოგი
11. სოფიკო გიორგის ასული დალაქიშვილი — თბილისის 24-ე საშუალო სკოლის პედაგოგი

12. დინარა ნიკოლოზის ასული გერსამია — თბილისის 35-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

13. ქეთევან თინიკაშვილი — თბილისის 133-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

14. ლია ალექსანდრეს ასული ჩიხიაშვილი — თბილისის 87-ე საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

15. ზაირა დიმიტრის ასული მარიდაშვილი — თბილისის მე-4 საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

16. ნანი ტიტიკოს ასული ხვიჩია — ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

17. ლუბა ივანეს ასული სივოხიპი — ფოთის მე-3 საშუალო სკოლის პედაგოგი

18. იზოლდა პეტრეს ასული ჩიკვაიძე — ცხაკაიის მე-7 საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

19. ნინა ივანეს ასული ბარქაია — ცხაკაიის პიონერთა სახლის მასობრივი მუშაობის ორგანიზატორი

20. ზაირა ვალერიანის ასული კობალაძე — ვანის რაიონის სოფელ ბზვანის საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

21. როზა რევაზის ასული ხოზრევანიძე — ხელვაჩაურის რაიონის სოფელ ჩაისუბნის საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

22. ნანა გიორგის ასული გოგბაიძე — თელავის რაიონის სოფელ წინანდლის საშუალო სკოლის უფროსი პიონერხელმძღვანელი

23. ნაზიკო ხარიტონის ასული ქავთარაძე — ჭიათურის მე-3 საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

24. ნიკოლოზ მევლუდის ძე დუმბაძე — შუახევის რაიონის სოფელ ჩანჩხალოს საშუალო სკოლის ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ხელმძღვანელი პედაგოგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1980 წლის 23 მაისის

## ბრძანება № 387

**საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 მარტის № 209 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ**

პარტიული და საბჭოთა ორგანოების ხელმძღვანელობითა და დახმარებით რესპუბლიკის სახალხო განათლების ადგილობრივმა ორგანოებმა და მოზრდილთა სკოლებმა მნიშვნელოვანი ღონისძიებები გაატარეს საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 მარტის № 209 ბრძანების „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“ განსახორციელებლად.

უკანასკნელ წლებში განათლების სამინისტროს კოლეგიამ განიხილა საკითხები სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების მოსწავლეთა სწავლისა და აღზრდის გაუმჯობესების, მათი შრომითი აქტიურობის ამაღლების შესახებ. შეიმუშავა და გაატარა ღონისძიებანი ამ საკითხზე საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის 1974 წლის 18 ივნისის დადგენილების შესასრულებლად.

განათლების განყოფილებებმა და საღამოს სკოლებმა საქმიანი ურთიერთობა დაამყარეს იმ საწარმოებთან და მეურნეობებთან, სადაც ამ სკოლების მოსწავლეები მუშაობენ, ტარდება ლექციები და საუბრები შრომითი კანონმდებლობისა და სამართლებრივი აღზრდის საკითხებზე; ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად მიმდინარეობს მუშაობა დამნაშავეობისა და საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევათა პროფილაქტიკისათვის.

გატარებული ღონისძიებების შედეგად ახალციხის, ბოგდანოვკის, ქ. ტყიბულის ზონის, გეგეჭკორის, ასპინძის, დმანისის, ლენტეხის, წულუკიძის, ჩოხატაურის, სოხუმის, ქედის, ხულოს, შუახევისა და სხვა რაიონების საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებს

არ ყავთ არც ერთი დაუსაქმებელი და საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი მოსწავლე. ბოლო ორი წლის განმავლობაში დანაშაულის ჩადენის შემთხვევას ადგილი არ ქონია რესპუბლიკის 45 რაიონისა და ქალაქის საღამოს სკოლების მოსწავლეთა მიერ.

წინა სასწავლო წელთან შედარებით რესპუბლიკის ბევრ რაიონსა და ქალაქში საგრძნობლად შემცირდა დროებით უმუშევარ მოსწავლეთა რიცხვი. მაგალითად, მცხეთის რაიონში 37-დან 3-მდე, საგარეჯოში — 22-დან 4-მდე , ხობში — 25-დან 5-მდე, ქ. ქუთაისში — 50-დან 12-მდე და სხვ.

მიუხედავად ამისა, რესპუბლიკის საღამოსა და დაუსწრებელი საშუალო სკოლების ერთ ნაწილში დამაკმაყოფილებლად არ სრულდება საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 მარტის ბრძანება. კვლავ ადგილი აქვს დროებით უმუშევარი ახალგაზრდების სკოლებში ჩარიცხვის შემთხვევებს, რის შედეგადაც ზოგიერთ სკოლაში, წინა სასწავლო წელთან შედარებით, ნაცვლად შემცირებისა, იმატა მათ რიცხვმა. მაგალითად, აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში ეს რიცხვი 165-დან 300-მდე გაიზარდა, სამხრეთ ოსეთში — 55-დან 128-მდე, ქ. რუსთავში — 55-დან 85-მდე, ახალქალაქის რაიონში — 12-დან 54-მდე, გარდაბანში — 30-დან 74-მდე, კასპში — 20-დან 130-მდე; ქ. თბილისის საღამოს საშუალო სკოლებში 442 დროებით უმუშევარი მოსწავლეა.

ბოლო დროს ზოგიერთ ქალაქში გახშირდა დღის სკოლებიდან საღამოსა და დაუსწრებელ საშუალო სკოლებში არასრულწლოვან მოსწავლეთა გადაყვანა მათი სამუშაოზე მოწყობის გარეშე. აფხაზეთის ასს რესპუბლიკის სკოლებში 70 არასრულწლოვანი სწავლობს, ქ. თბილისის სკოლებში მიმდინარე სასწავლო წლის დასაწყისთან შედარებით მათი რიცხვი 32-დან 240-მდე გაიზარდა. მათ შორის ლენინის რაიონის სკოლებში — 96, კიროვის — 44, კალინინის — 18, ოქტომბრის — 21, ორჯონიკიძის — 20; თბილისის ლენინის რაისაბჭოს აღმასკომთან არსებულმა არასრულწლოვანთა საქმეების კომისიამ საღამოს 22-ე საშუალო სკოლაში 30 არასრულწლოვანი გაგზავნა, მათ შორის 20 საერთო სიით, კომისია სკოლების დირექტორებს (1-ლი, 22-ე და 30-ე სკოლები) ავალებს არასრულწლოვანთა სამუშაოზე მოწყობასაც. ანალოგიური მდგომარეობა

კიროვის, ოქტომბრის და ქ. ქუთაისის ლენინისა და საქარხნო რაიონებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავის მხრივ სკოლების დირექტორებიც არღვევენ არასრულწლოვანთა ჩარიცხვის წესს. თბილისის სადამოს 28-ე საშუალო სკოლაში 5 არასრულწლოვანია ჩარიცხული ალმასკომთან არსებული კომისიის დადგენილების გარეშე, 27-ე სკოლაში — 9, ხოლო 43-ში — 2.

მოზრდილთა სკოლების მოსწავლეთა მიერ ჯერ კიდევ ადგილი აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს. ოჩამჩირის რაიონის სოფელ ბესლახუბის სადამოს საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლემ ხ. კუპრეიშვილმა გასული წლის დეკემბერში სკოლაში ჩაიდინა ქურდობა, ამავე რაიონის სოფელ კუტოლის დასწრებულ-დაუსწრებელი სკოლის მე-8 კლასის მოსწავლემ ზ. ახვლედიანმა გაიტაცა ავტომანქანა; გალის რაიონული დასწრებულ-დაუსწრებელი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლეებმა ბ. კვაცხიამ და დ. ჯოხაიამ 1980 წლის თებერვალში გაქურდეს სკოლის ფიზიკის კაბინეტი; ქ. სოხუმის სადამოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-10 კლასის მოსწავლე ი. კარანაძე არსად არ მუშაობდა, ხულიგნობდა, ქურდობდა, სკოლის დირექციამ იცოდა ამის შესახებ, მაგრამ ზომებს არ ღებულობდა, ამჟამად იგი დაპატიმრებულია ქურდობისათვის. ქ. თბილისის სადამოს 1-ლი საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე გ. მუჯირიშვილი დაპატიმრებულია ქურდობისათვის, გასულ სასწავლო წელს ამ სკოლის 6-მა მოსწავლემ ჩაიდინა სისხლის სამართლის დანაშული, მათ შორის ერთი არსად არ მუშაობდა; ქ. თბილისის სადამოს 34-ე საშუალო სკოლის მე-9 კლასის მოსწავლე ვ. ლაოევმა გაიტაცა ავტომანქანა, ხოლო მე-10 კლასის მოსწავლე ზ. გამცემლიძემ ჩაიდინა ხულიგნობა, ანალოგიური მდგომარეობაა მე-11, მე-16, 27-ე, 28-ე, 35-ე, 43-ე საშუალო სკოლებში; ქ. ქუთაისის სადამოს მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეები ბონდარევი და ფურცვანიძე დაპატიმრებული არიან პირადი ქონების ქურდობისათვის, ხოლო სადამოს მე-3 საშუალო სკოლის მოსწავლეები თ. ბაშალეიშვილი და გ. გვილავა — ქურდობისა და ავტომანქანის გატაცებისათვის; ქ. რუსთავის სადამოს მე-2 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ რ. თიგიშვილმა

1980 წლის აპრილში ხულიგნობა ჩაიდინა. მომუშავე ახალგაზრდობის მიერ დანაშაულის ჩადენის შემთხვევებს ადგილი ქონდა ქ. ზუგდიდში, თეთრიწყაროს, თიანეთის, ხაშურის, წალკის რაიონებში. ხშირ შემთხვევაში დანაშაულს ჩადიან ის მოსწავლეები, რომლებიც შრომაში არ არიან ჩაბმულნი.

აღნიშნული ნაკლოვანებები იმის შედეგია, რომ ბევრგან ჯერ კიდევ სათანადო დონეზე არ დგას აღმზრდელობითი მუშაობა, ამ საქმეში გამოყენებული არ არის მოსწავლეთა ორგანიზაციები, ჯეროვანი ყურადღება არ ექცევა მოსწავლეთა სამართლებრივ და ზნეობრივ აღზრდას, საღამოსა და დაუსწრებელი სკოლების დირექტორების ერთი ნაწილი არ იცავს ამ სკოლებში მოსწავლეთა ჩარიცხვის წესებს, სათანადო პასუხისმგებლობით არ ეკიდება იმ მოსწავლეებთან მუშაობას, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ჩადიან დანაშაულს.

განათლების ადგილობრივი ორგანოები საფუძვლიანად არ წვდებიან ამ სკოლების მუშაობას, მათდამი ხელმძღვანელობა და დახმარება ზოგადია.

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აღინიშნოს, რომ აფხაზეთის ასს რესპუბლიკაში, სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, ქ. ქ. თბილისში, რუსთავში, ახალქალაქის, გარდაბნის, კასპის, რაიონებში (ამხ. ამხ. თ. კოლონია, გ. ძაგოევი, ლ. ჩიქვანია, ზ. როგავა, ა. გაბრიელიანი, ა. იმნაძე, გ. შაქარაშვილი) არადამაკმაყოფილებლად სრულდება განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 მარტის ბრძანება „იმ პირთა წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების ღონისძიებათა თაობაზე, რომლებიც თავს არიდებენ საზოგადოებრივ სასარგებლო შრომას და ეწევიან ანტისაზოგადოებრივ, პარაზიტულ ცხოვრებას“.

2. წინადადება მიეცეთ განათლების განყოფილებათა გამგეებს, მოზრდილთა სკოლების დირექტორებს:

2. 1. უმოკლეს დროში დააზუსტონ მოსწავლეთა დროებითი უმუშევრობის მიზეზები და ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების დახმარებით მიაღწიონ მათ შრომაში ჩაბმას.

2. 2. ყველა ღონისძიება გაატარონ მოსწავლეთა გააქტიურებისათვის სწავლასა და შრომაში; გადაჭრით გააუმჯობესონ იდეურ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

აღმზრდელობითი მუშაობა, მოსწავლეთა სამართლებრივი, ზნეობრივი აღზრდა; ადგილობრივ ადმინისტრაციულ ორგანოებთან ერთად გააძლიერონ პროფილაქტიკური მუშაობა მოსწავლეთა მიერ დანაშაულის ჩადენის აღმოფხვრისათვის;

2. 3. ახალი 1980—1981 სასწავლო წლიდან არ დაუშვან შრომაში ჩაუბმელი ახალგაზრდების ჩარიცხვა საღამოსა და დაუსწრებელ სკოლებში, ზუსტად დაიცვან მოსწავლეთა მიღების წესები.

3. აფხაზეთისა და აჭარის ასსრ განათლების სამინისტროებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის განათლების განყოფილებამ, ქ. თბილისის სახალხო განათლების სამმართველომ, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებებმა კოლეგიის, სახალხო განათლების საბჭოსა და პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე განიხილონ აღნიშნული ბრძანება, დასახონ და განახორციელონ ღონისძიებანი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად; მკაცრი ზომები მიიღონ იმათ მიმართ, ვისი მიზეზითაც არის გამოწვეული აღნიშნული ნაკლოვანებები.

4. ეცნობოს საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიას, რომ ქ. თბილისის ლენინის, კიროვის, ოქტომბრის და ქ. ქუთაისის ლენინისა და საქარხნო რაიონების საბჭოს აღმასკომებთან არსებულ არასრულწლოვანთა საქმეების კომისიები უხეშად არღვევენ მოზრდილთა სკოლებში არასრულწლოვანთა გაგზავნის დადგენილ წესებს.

5. ცნობად იქნეს მიღებული, რომ ქ. თბილისის 1-ლი, 27-ე და ქ. სოხუმის 1-ლი საშუალო სკოლების დირექტორები (ამხ. ამხ. ლ. ბექანიშვილი, ნ. არჩვაძე, შ. ჭანტურია) განთავისუფლებული არიან დაკავებული თანამდებობებიდან.

საფუძველი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

მინისტრის პირველი მოადგილე ზ. ლომიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს

## 1980 წლის 29 მაისის ბრძანება № 397

### საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტებზე სახანძრო უშიშროების მდგომარეობის შესახებ

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს პრეზიდიუმის 1980 წლის 2 აპრილის საოქმო გადაწყვეტილებაში აღნიშნულია, რომ 1979—1980 წლებში სახალიხო განათლების სისტემის ობიექტებზე იმატა ხანძრების რაოდენობამ 1978 წელთან შედარებით.

1979 წელს რესპუბლიკის სახალხო განათლების სისტემაში აღირიცხა 15 ხანძარი, ხოლო 1980 წლის 4 თვის განმავლობაში 7, ხანძრებით მიყენებულმა ზარალმა 30 000 მანეთამდე მიაღწია.

ხანძრისაგან განადგურდა:

— 1979 წელს ქ. ქობულეთის მე-2, წითელწყაროს რაიონის სოფელ გამარჯვების, ცხაკაიის რაიონის სოფელ ფოცხოს, სოხუმის რაიონის სოფელ ბესლეთის, გალის რაიონის სოფელ პიჩორის, ქ. მახარაძის სალამოს, თერჯოლის რაიონის სოფელ თავასის სკოლების შენობები;

— 1980 წელს ზესტაფონის მე-3, სოხუმის რაიონის სოფელ ფსხუს, ქ. მახარაძის სპორტული, წალკის რაიონის სოფელ ბაშკოვოს სკოლების შენობები. ხანძრის კერები გაჩნდა ბათუმის სკოლა-ინტერნატში, თბილისის მე-17 საბავშვო ბაღში (26 კომისრის რაიონი) და თბილისის მე-19 საშუალო სკოლაში.

არადამაკმაყოფილებელ ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობაში მოქმედებენ მთელი რიგი სკოლამდელი დაწესებულებები. სახანძრო ზედამხედველობის ორგანოები იძულებული არიან შეაჩერონ მათი მუშაობა ხანძრის თავიდან აცილების მიზნით. ასე მაგალითად, მიმდინარე წლის აპრილში შეჩერებულ იქნა სოფლების: კიროვის, შუამთის, მთისძირის (სამივე ვანის რაიონი), ჯოლეთის, სერგიეთის (ორივე გეგეჭკორის რაიონი), რცხმელურის (ლენტეხის რაიონი) საბავშვო ბაღების მუშაობა. ელექტროქურების უქონლობის გამო ჯერ კიდევ ხმარებიდან არ არის ამოღებული გაზქურები.

ობიექტებზე შექმნილი არადამაკმაყოფილებელი ხანძარსაწინააღმდეგო მდგომარეობა, ძირითადად, გამოწვეულია ელექტროგაყვანი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლობის მოუვლელობით, სახანძრო უსაფრთხოების წესების შეუსრულებლობით და ცეცხლთან გაუფრთხილებლობით, რაც აიხსნება სკოლების დირექტორებისა და სკოლამდელი დაწესებულებების ხელმძღვანელთა უპასუხისმგებლო დამოკიდებულებით ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებისადმი. ხშირია შემთხვევა, როდესაც ტაბელით გათვალისწინებული ხანძარქრობის პირველადი საშუალებები მოუვლელია, ინახება არათვალსაჩინო ადგილზე და, ცხადია, საჭიროების შემთხვევაში ვერ გამოიყენება. ცეცხლსაქრობები დროულად არ იმუხტება, მორიგეები და ღამის დარაჯები მორიგეობის დაწყებისას არ ამოწმებენ ხანძარსაქრობი საშუალებების არსებობას.

შეინიშნება ისიც, რომ განათლების განყოფილებათა გამგეების ერთი ნაწილი მკაცრად არ ითხოვს სკოლის დირექტორებისაგან და სკოლამდელ დაწესებულებათა ხელმძღვანელებისაგან ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარებას, განათლების სამინისტროს, ადგილობრივი პარტიული და საბჭოთა ორგანოების შესაბამის დადგენილებათა შესრულებას. დროულად არ ახსენებს განათლების სამინისტროს დაქვემდებარებულ ობიექტებზე ხანძრის გაჩენის შემთხვევას, უმეტეს შემთხვევაში ინფორმაციას ხანძრის გაჩენის შესახებ სამინისტრო ღებულობს არა განათლების განყოფილებიდან, არამედ შინაგან საქმეთა სამინისტროდან.

ხანძრის შემთხვევების აღკვეთისა და სახანძრო უშიშროების შემდგომი განმტკიცების მიზნით

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ განათლების მინისტრებმა, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, ქალაქებისა და რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებმა:

1. 1. ადგილობრივ სახანძრო ზედამხედველობის ორგანოებთან ერთად ერთი თვის ვადაში შეისწავლონ სასწავლო და სკოლამდელ დაწესებულებებში სახანძრო უშიშროების მდგომარეობა და ზაფხულის არდადეგების პერიოდში (მიმდინარე და კაპიტალური რემონტების ჩატარებისას) აღმოფხვრან გამოვლინებული ნაკლოვანებანი.

1. 2. სათანადო ყურადღება მიაქციონ სადირექტივო ორგანოების დადგენილებებისა და სხვა სახელმძღვანელო დოკუმენტების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სრულყოფილად შესრულებას. რაიონის (ქალაქის) განათლების სისტემაში კონტროლი სახანძრო უშიშროების საკითხებზე ბრძანებით დაავალონ განათლების განყოფილების ერთ-ერთ მუშაკს.

1. 3. აამაღლონ სკოლის დირექტორებისა და საბავშვო დაწესებულებათა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა მათდამი დაქვემდებარებული ობიექტების სახანძრო უშიშროების განმტკიცებისადმი. პერიოდულად მოისმინონ ობიექტების ხელმძღვანელების ანგარიში სახანძრო უშიშროების განსამტკიცებლად მათ მიერ ჩატარებული მუშაობის შესახებ.

1. 4. განათლების სისტემის ობიექტებზე ხანძრის გაჩენის ყოველი შემთხვევა დაუყოვნებლივ აცნობონ განათლების სამინისტროს მე-2 განყოფილებას (ტელეფონი 99-03-07), ხოლო მოხსენებითი ბარათი წარმოადგინონ ორი დღის ვადაში.

2. სკოლების, საბავშვო სახლების, სკოლა-ინტერნატების დირექტორებმა და საბავშვო ბაგა-ბაღების გამგეებმა:

2. 1. დაუყოვნებლივ შეაკეთონ ელექტროგაყვანილობა, ცენტრალური გათბობის სისტემა და საკვამლე მილები, სრულ წესრიგში მოიყვანონ და მუდმივ მზადყოფნაში იქონიონ პირველადი ხანძარსაქრობი ინვენტარი, შეაკეთონ სახანძრო ონკანები, მუდამ იქონიონ სახანძრო წყლის მარაგი.

2. 2. მიიღონ გადამჭრელი ზომები არსებული სახანძრო უშიშროების წესების დარღვევის აღმოსაფხვრელად, დროულად და ზუსტად უზრუნველყონ სახელმწიფო ზედამხედველობის ორგანოების მიერ მითითებულ სახანძრო ღონისძიებათა შესრულება, თვალყური ადევნონ დადგენილი ხანძარსაწინააღმდეგო რეჟიმის წესების შესრულებას მომსახურე პერსონალის მიერ. პერიოდულად შეამოწმონ ღამის დარაჯების მუშაობა.

2. 3. არ დაუშვან სასკოლო ინვენტარით საევაკუაციო გასასვლელების და საძინებელი ოთახების გადატვირთვა, სრულ წესრიგში იქონიონ ევაკუაციის გეგმა, შენობის ყოველ სართულზე თვალსაჩინო ადგილზე გამოაკრან ევაკუაციის გეგმა საევაკუაციო მარშრუტების ჩვენებით.

2. 4. სახანძრო ზედამხედველობის ადგილობრივ ორგანოებთან ერთად სისტემატურად აწარმოონ მუშაობა სკოლებში ნებაყოფლო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბითი სახანძრო რაზმების მომზადებისა და სახანძრო უშიშროების წესების შესწავლისათვის.

მეოთხედში ერთხელ, გაკვეთილების შემდეგ არასამუშაო დროს, უფროსკლასელებთან ჩაატარონ სპეციალური მეცადინეობა სახანძრო უშიშროების წესების შესწავლისათვის, ხოლო უმცროსკლასელებთან — საუბარები სკოლასა და სახლში ხანძრის თავიდან აცილების შესახებ.

3. აღინიშნოს, რომ წითელწყაროს, ზესტაფონის, მახარაძის, ქოპულეთის, სოხუმის, ცხაკაიის, გალის, ხაშურის, წალკის, თერჯოლის, ზუგდიდის, ქ. ბათუმის, ქ. თბილისის 26 კომისრისა და 1-ლი მაისის რაიონების განათლების განყოფილებებმა ვერ უზრუნველყვეს ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებათა გატარება, რის შედეგადაც მათდამი დაქვემდებარებულ ობიექტებზე 1979—1980 წლებში ადგილი ქონდა ხანძრის გაჩენის შემთხვევებს.

დაევალოს ამ რაიონების განათლების განყოფილებათა გამგეებს უფრო ეფექტური ღონისძიებების გატარება ობიექტების ხანძრისაგან დასაცავად.

4. მიღებულ იქნას ცნობად, რომ ხანძარსაწინააღმდეგო ღონისძიებების კონტროლის განუხორციელებლობისათვის რაიონული პარტიული კომიტეტების ბიუროების გადაწყვეტილებებით წითელწყაროს განათლების განყოფილების გამგეს ამხ. მ. ბილიაშვილს გამოეცხადა საყვედური, ზესტაფონის განათლების განყოფილების გამგეს ამხ. სარალიძე მკაცრად იქნა გაფრთხილებული, ხოლო ქ. ზესტაფონის მე-3 საშუალო სკოლის დირექტორი ა. ბიწაძე და სოფელ გამარჯვების საშუალო სკოლის დირექტორი გ. სეხნიაშვილი განთავისუფლებული იქნენ დაკავებული თანამდებობიდან და დაედოთ პარტიული სასჯელი.

5. ეთხოვოს საქართველოს სსრ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტს გამოყოს ელექტროქურები რესპუბლიკის საბავშვო ბაგა-ბაღებისათვის თანახმად განათლების სამინისტროს განაცხადისა.

6. დაევალოს სახელმძღვანელოების სამმართველოს (ამხ. ნ. ღლონტი) უზრუნველყოს სახანძრო უსაფრთხოების ტიპური წესების გამოცემა ა/წლის 1 სექტემბრამდე ქართულ და რუსულ ენებზე საერთო ტირაჟით 6000 ეგზემპლარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

7. განათლების სამინისტროს მე-2 განყოფილებამ (ამხ. გ. ბ[illegible] ნიელოვი) განახორციელოს კონტროლი ამ ბრძანების შესრულებაზე.

8. სამინისტროებმა და განათლების განყოფილებებმა ჩატარებული მუშაობის შესახებ მოხსენებითი ბარათი წარმოადგინონ ა/წლის 1 ნოემბრამდე.

ს ა ფ უ ძ ვ ე ლ ი: საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს კოლეგიის 1980 წლის 22 მაისის გადაწყვეტილება.

მინისტრი ო. ქინქლაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ПРИКАЗ

## МИНИСТЕРСТВА ПРОСВЕЩЕНИЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

### Об укреплении пожарной безопасности на объектах Министерства просвещения Грузинской ССР

29 мая 1980 года, № 397

В протокольном решении заседания Совета Министров Грузинской ССР от 2 апреля 1980 года отмечено, что количество пожаров в 1979—1980 годах на объектах просвещения по сравнению с 1978 годом увеличилось.

В 1979 году на объектах народного образования произошло 15 пожаров, а за 4 месяца 1980 года — 7, убытки от которых составили 30.000 руб.

От пожара сгорели школьные здания:

— в 1979 году в г. Кобулети, с. Гамарджвеба (Цителцкаройский район), с. Поцхо (Цхакаевский район), с. Беслети (Сухумский район), с. Пичора (Гальский район), г. Махарадзе, с. Таваси (Терджольский район);

— в 1980 году — в г. Зестафони, с. Псху (Сухумский район), г. Махарадзе, с. Башково (Цалкский район). Очаги пожара возникли в Батумской школе-интернате, Тбилисском детском саду № 17 (район 26 комиссаров) и Тбилисской средней школе № 19 (Первомайский район).

В неудовлетворительном противопожарном состоянии функционирует ряд дошкольных учреждений. Органы Государственного пожарного надзора вынуждены приостанавливать их работу с целью предотвращения пожара. Так, например, в апреле т. г. была приостановлена работа детских садов в селах Кирово, Шуамта, Мтисдзири (все три в Ванском районе), Джолети, Сергиети (оба в Гегечкорском районе), Рцхмелури (Лентехский район). Из-за отсутствия электроплит до сегодняшнего времени в детских садах из употребления не изъяты газовые плиты.

Причинами неудовлетворительного противопожарного состояния являются: неисправность электропроводов, невыполнение правил пожарной безопасности и неосторожное обращение с огнем, что вызвано безответственным отношением директоров школ и руководителей дошкольных учреждений к проведению противопожарных мероприятий.

Часто, первичные средства пожаротушения, предусмотренные табелем оснащения, находятся в запущенном состоянии, хранятся не на видном месте и при необходимости ими нельзя пользоватся. Огнетушители вовремя не заряжаются. Дежурные и ночные сторожа, заступая на дежурство, не проверяют наличие средств пожаротушения.

Замечается и то, что часть заведующих отделами народного образования не требует от директоров и руководителей дошкольных учреждений проведения противопожарных мероприятий, выполнения соответствующих распоряжений Министерства просвещения, местных партийных и советских органов, своевременно не докладывает Минпросу о пожарах, возникших на подведомственных объектах.

В большинстве случаев информацию о пожарах Минпрос получает не от отделов народного образования, а от Министерства внутренних дел.

В целях пресечения случаев пожаров и дальнейшего укрепления пожарной безопасности

приказываю:

1. Министрам просвещения Абхазской и Аджарской АССР, заведующим отделами народного образования Юго-Осетинской АО, городов и районов:

1.1. Совместно с органами Государственного пожарного надзора в месячный срок изучить состояние пожарной безопасности в школах и дошкольных учреждениях и в период лет-

них каникул (при проведении капитальных и текущих ремонтов) искоренить выявленные недостатки.

ბიბლიოთეკა

1.2. Особое внимание обратить на качественное выполнение постановлений и других руководящих документов директивных органов. Контроль по вопросам пожарной безопасности приказом возложить на одного работника отдела.

1.3. Поднять ответственность руководителей школ и детских учреждений за укрепление пожарной безопасности на вверенных им объектах. Периодически заслушивать отчет директоров школ о проделанной работе по укреплению пожарной безопасности.

1.4. О всех случаях возникновения пожара немедленно сообщать Второму отделу Минпроса (тел. 99--03-07), а докладную записку об этом представить в двухдневный срок.

2. Директорам школ, детских домов, школ-интернатов и заведующим детскими садами-яслями:

2.2. Немедленно отремонтировать электрохозяйство, систему центрального отопления, дымоходы, пожарные краны. В полный порядок привести первичные средства пожаротушения. Постоянно иметь запас воды для тушения пожара.

2.3. Не допускать загромождения эвакуационных выходов и спальных комнат школьным инвентарем. Добыться того, чтобы запасные эвакуационные выходы были всегда свободными. Иметь план эвакуации и на каждом этаже вывешивать выписку из этого плана с указанием маршрутов эвакуации.

2.4. Принять решительные меры для искоренения нарушений существующих правил пожарной безопасности; обеспечить своевременное и точное выполнение указаний пожарных мероприятий органов Государственного пожарного надзора.

2.5. Совместно с органами Государственного пожарного надзора систематически проводить работу, для подготовки в

школах юношеских добровольных пожарных дружин и изучение правил пожарной безопасности.

Один раз в четверть с учащимися старших классов, во внеурочное премя, проводить специальные занятия по изучению Правил пожарной безопасности, а с учащимися младших классов — беседы по предупреждению пожаров в школе и дома.

3. Отметить, что отделы народного образования Цителцкаройского, Зестафонского, Махарадзевского, Кобулетского, Сухумского, Цхакаевского, Гальского, Цалкского, Терджольского, им. 26 комиссаров (г. Тбилиси), Первомайского (г. Тбилиси) районов и г. Батуми не обеспечили проведение противопожарных мероприятий, в результате чего на подведомственных объектах в 1979-80 годах имели место пожары.

Поручить заведующим отделами народного образования этих районов и городов проведение более эффективных мер для защиты объектов от пожара.

4. Принять к сведению, что решениями бюро районных партийных комитетов за безконтрольность осуществления противопожарных мероприятий заведующему отделом народного образования Цителцкаройского района тов. М. Бигиашвили объявлен выговор, зав. ОНО зестафонского района тов. М. Саралидзе строго предупрежден. Директора средних школ г. Зестафони тов. А. Бицадзе и села Гамарджвела тов. Г. Сехниашвили освобождены от занимаемых должностей и на них наложены партийные взыскания.

5. Просить Госплан Грузинской ССР выделить для детских садов-яслей республики электроплиты согласно заявки Минпроса ГССР.

6. Поручить Управлению учебников (тов. Н. Глонти) до 1 сентября 1980 года обеспечить издание Типовых правил пожарной безопасности на грузинском и русском языках, общим тиражем 6000 шт.

7. Контроль за выполнением настоящего приказа возложить на Второй отдел (тов. Г. Даниелов).

8. Министерствам просвещения и отделам народного образования докладную записку о проделанной работе представить к 1 ноября 1980 г.

**Основание:** решение коллегии Министерства просвещения Грузинской ССР от 22 мая 1980 года.

**Министр** **О. КИНКЛАДЗЕ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი

გადაწყვეტილება — მოსწავლეთა კომუნისტური აღზრდისადმი კომპლექსური მიდგომის განხორციელებისათვის თერჯოლის რაიონის სახალხო განათლების განყოფილებისა და ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების პედაგოგიური კოლექტივების მიერ გაწეული მუშაობის შესახებ . . 3

გადაწყვეტილება — ხაზვის მასწავლებელთა და მოსწავლეთა ნამუშევრების მე-3 რესპუბლიკური გამოფენის შედეგებისა და მე-4 რესპუბლიკური გამოფენის ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . 18

გადაწყვეტილება — ნორჩ მხარეთმცოდნეთა მე-14 რესპუბლიკური შეკრების შედეგებისა და მე-15 რესპუბლიკური შეკრების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . . . . . . 30

გადაწყვეიტლება — მოსწავლეთა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბების, მუზეუმების, ოთახებისა და კუთხეების მე-3 რესპუბლიკური დათვალიერების შედეგებისა და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-60 წლისათვისადმი მიძღვნილი მე-4 რესპუბლიკური დათვალიერების ჩატარების შესახებ . . . . . . . . . . . 43

ბრძანება № 387 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს 1976 წლის 2 მარტის № 209 ბრძანების შესრულების მდგომარეობის შესახებ . 53

ბრძანება № 397 — საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს სისტემის ობიექტებზე სახანძრო უშიშროების მდგომარეობის შესახებ . . 58

Приказ № 397 — об укреплении пожарной безопасности на объектах Министерства просвещения Грузинской ССР . . . 63